

619  
1979



# ԷՅՈՂ

№ 8 ՆՅՅՈՆՆԵՐ 1972



საბავშვო ბალის ეზოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ეკოა

№ 8 (429) აგვისტო, 1972 წ.

გამოცემის წილი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
კოლბიკური და სალიბერატორო-  
სამხატვრო ჟურნალი

# ქართული კომუნისტური პარტია



ქართულმა ხალხმა ძმათა სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქართველებში წმინდა გულით გამოატარა, როგორც სალოცავი ხატი და ნატვრისთვალი, პატიოსნებისა და ბრძენკაცობის სხივი არ მოაკლო მას. ხალხთა ძმობის, ერთა მეგობრობის გრძნობა ჩვენთვის მუდამ სადედადენო გრძნობა იყო; დიდმა ოქტომბერმა მას მანამდე არნახული სიმტკიცე და ძლევამოსილება შესძინა. ამიტომ ესოდენ სასიხარულოა ჩვენთვის მოახლოებული დიდი დღესასწაული — საბჭოთა კავშირის დაარსების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ხალხთა მე-

გობრობა დღეს დღეობდღიერი, სვეტმაგარია და ნათელდადგმული სამარადეა-მოღ.

საბჭოთა საქართველო მხრებგამართული და პირნათელი მიაბიჯებს მიზნისაკენ მოძმე რესპუბლიკების მხარდამხარ. ეს ამბავი კანონიერ სიამაყეს იწვევს თვითველ ჩვენგანში. ვერც კი წარმოგვიდგენია დღეს მამულიშვილი, რომელიც ძმობისა და მეგობრობის ამ დიდებულ ფერხულში არ იდგეს.

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე მწერლები ერთ დიდსა და კეთილშობილურ მიზანს ემსახურებიან, — ჩაც შეიძლება მეტი გააკე-

თონ ხალხთა ბედნიერებისათვის, მეგობრობისათვის, მშვიდობისათვის. მათ შემოქმედებას აღამიანის წრფელი და ჭეშმარიტი სიყვარული ასულდგმულებს.

ამ სიყვარულით არის აღსაფსე ჩვენი ეურნალის დღევანდელ ნომერში, პირველ, მეორე და მესამე გვერდებზე მოთავსებული ჩემს მიერ თარგმნილი საბჭოთა პოეტების ლექსები, რომლებსაც სიყვარულითა და მორიდებით ვთავაზობ ჩვენს მკითხველებს.

აქ, თითო პოეტის თითო ლექსით წარმოდგენილია თოთხმეტივე ჩვენი მოძმე რესპუბლიკა.

მორის ფრანკოვილი

## მინილ ლკონინი

რუსეთი

მეგობარი მეგობარს ვით არ შეხვდეს, როდესაც თურმე საქართველოში ერთურთს მთებზე ხვდებიან, — ეს მაღალი მთებია თუ ჩემი მეგობრებია?!

ყველას უცებ ვიპოვი, განა შორი გზებია, — მაღლა, უღელტბილზეც ძმათა შეხვედრებია!

თითქმის ყველგან, ყოველთვის მუდამ ერთად გვივლია, — თითქოს ზღაპარია და თითქმის სინამდვილეა...

ყველაფერი გაგონებს ყრმობას, სადღაც გაფრენილს, — ეს ლამაზი მთაგორები, ეს ქათქათა აფრებიც.

ამ ხეებთან ვთამაშობდით, ამ ტინებთან ვსხდებოდით, წყაროს, თეთრი კბილებით აქ არ ეწაფებოდით?!

# კეზოვანი კეზოვანი

კისკისებდი, ხითხითებდი და სიცილით კვდებოდი, — კლდეთა ცაღჭი ჩანჩქერით გზაზე მეკარგებოდი...

იხევ გზაზე ვდევარ ახლა იხევ იხე მელიან, — გული ჩემი მზით ღამსკდარი გუდრონივით ცხელია.

არაფერი არ შეცვლილა, მთები იყო, მთებია, იხევ ის ყვავილებია, იხევ ის ხეებია.

შენ კი რატომ დაგიკარგავს სინარულით თილისმა,

თქვი, რა თვლით შემოგხედოს ქუთაისმა, თბილისმა?!

ვაი, როგორ გაგიცვლია გზები, ფრთები, აფრები, — ვაი, რატომ არ მისტირი სიებაუკეს გაფრენილს?!

მეგობარი მეგობარს ვით არ შეხვდეს, როდესაც ახლა საქართველოში ერთურთს მთებზე ხვდებიან, — მთებია და ნამდვილი გულის მეგობრებია. ჩვენ კი ტროად-ტრიალით წუთისოფლის შარაზე, როგორც თოვლის ფანტელი ისე დავიფანტინით.

საქ. სსრ კ. პარკოსი  
სახ. სახ. რესპუბ.  
გიგლითოთიკა

ოლეკსა ღოკვი

უკრაინა

სამუშაო




ვტოვებ წიგნებს და ოცნების ბადით ნატურის ჩიტს დავდებ, ვით აფრას ქარი, მზე ფეხშიშველი მიწაზე დადის, ცხელ სისხლს აგრილებს ბალახის ცვარი.

ხალხში ვარ, ხალხის ყვაფილებს ვუვლი, ასე იყო და მეც ასე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ხალხში იპოვის გული ხალხის საკადრის პოეტურ სტრიქონს.

პერსუ ბროკა

ბელორუსია

ქეთილი ცეცხლი



თითქოს განთიადს დაუფანტია მზის ნაპერწკლების ოქრო და ვერცხლი, თითო კოცონი ყველგან ანთია, ყველგან ბრიალებს კეთილი ცეცხლი.


მაგრამ აგრძელებს სულში მზე ციალს, როდესაც ღენინს ვიხსენებთ ერთად, — ეს ცეცხლი მაინც სულ სხვა ცეცხლია, სხვა სითბო აქვს და სხვა გზებით ფრთავს.

ჩვენ ვიცავთ ამ ცეცხლს, ვიცავთ და ვუფლით, ამ ცეცხლმა ახლაც ერთად შეგვყარა, — ანთია იგი ვით ღივი გული და თბება ირგვლივ მთელი ქვეყანა.

ბულგარა ნარულაევა

უზბეკეთი

შუკ ყუვიუნი



ო, გუშინ რა უხადისოდ წვიმდა... დღე იყო უჩველი... დღეს პატარძლებით აივსო საგაზაფხულო ქუჩები.


ო, რაღაც უცხო სურნელმა გოგონები და ბიჭები ერთ წუთში გაასულელა რწმენით, იმედით, იჭვებით...

აკვნებს ეძებენ დედები, ხარობს, ყვაფილობს ბუნება, მოხვალ? იებით შეგხვდები, ვერც მე გავუძლებ ცდუნებას, — რა ვქნა, თუ მთელი ქვეყანა ხიყვარულს მედუღუნება?!  
კასია ანანოლოვი  
უზბეკეთი

კასია ანანოლოვი

უზბეკეთი

ვანუცხური



თუ გაზაფხული ყვაფილობს ბაღში, შორს ერეკება ცივ ზამთარს ლაღად, ჩემს მაგიდაზე რატომ დევს მაშინ თოვლივით თეთრი ქაღალდი ახლა?!

ბჭარებს ხნულებად, როგორც გუთანი არ ამოვტვიფრავ გულდაგულ ვიდრე, როგორ მოვძებნო მზის სასთუმალი, ან გუთნისდევად აქ როგორ ვიდგე?!

ან რას ვაკეთებ, ან რას ვლაღადებ, ანდა რა ვქვია, რაც მწვავს, რაც არი, თუ არ ვისროლე ყამირ ქაღალდზე ჩემი ოცნების წმინდა მარცვალი?!

ნაბი ხაზრი

აზერბაიჯანი

შენ და მე



შენ რომ მყინვარად გადაქცე, შენს მხრებზე დავიფიქტები, შორს წაგიღებენ ფიქრები, შენი დუმილი ვიქნები.

ამომშრალ გუბედ იქცევი, მე წვიმად ჩამოვიქცევი, ზღვად აღელდები, იცოლი, ზღვისპირად გარდავიქმნები.


არ ვიცი, როგორ მოვიქცე, მთებიც გამოავენ, სერებიც, რა ვქნა, სიმღერად რომ იქცე, სიტყვებად დავიწერები.

უკუნ ღამეშიც გიცნობ მე, ისე ვით ბუდეს ფრინველი, დილადაც რომ იქცე, იცოლი, უმალ მზედ მოგველინები!

ელეარას მუჟალიგისი

ლიტვა

ბუქები



მთვარე ყველაფერს ვერცხლსფრად ჰგარავს, მთვარემ წალეკა მთები, ველები, შეშინებული ჩიტების დარად სარკმელში თრთიან თეთრი ხელები.

და ორი გედი კვლავ მოსთქვამს ხშირად, ვაი, საშველი აღბათ არც არი, მეც მთვარის უღრმეს მორევში მძირავს წყვილი ქალწულის წყვილი ნაწნავი.


მთავარი მაინც მთვარის ზოდია, ასე რომ ავსებს ცასა და ხმელეთს, მაგრამ ხელები მაინც მოდიან, — უშველებიან ხელები ხელებს...

მთვარით ავსებულ ცინარტყელებით ისევ ელავენ დღეები თეთრად, მაგრამ მოდიან თეთრი ხელები, გედები ჩემსკენ, გედები ჩემთან!

ვალანგინ რომა

ბოლდავეთი

შუბიკუ




მე ვთხოვე წყალი... ის იდგა მშვიდად... მე ვთხოვე მხოლოდ წყალი... ის იდგა.. თითქოს ცოტა ხანს იდგა... მან გაიხურა კარი...

რა არის გზა და რა არის დაღლა... ვერ დავუჭერე თვალებს... მე არ მოვკვდები წყურვილით ახლა, წყალს მე სულ სხვაგან დავლივ.

მაგრამ უბრალოდ დღეს გული მწყდება, და მეცოდება ის, ვინც სადღაც დაჰქარგა შეძლება ქვეყანად, რაღაც აკეთოს სხვისთვის.






სპარ შიშაპვი  
ქარგიზეთი

კაპაეთ სიილოვი  
თურქმენეთი

შისკენ



შეგარდენივით სიმაღლეს ველტვი.  
ცისფერ ბილიკებს ვჭრი გამაღებით,  
არ მეშინია ტყვიისფერ სტეჟვის.  
არც ღრუბლების და არც გრიგალების.

მე შინდა მხოლოდ დაფარდებს ენდო,  
ფრთხილთ ოცნების საზღვარს ვებები, —  
მზისკენ იფრინე შენც, ჩემო გედო,  
ჩვენ ალბათ ისევ ცაში შევხვდებით.

გუგინ კანოაგოვი  
ტაჭიკეთი




სიყვარული

მოვა სიყვარული, დაგფერვლავს, მაგრამ  
წყურვილს მოგიკლავს შაინც,  
წამოგეწევა გაქცეულ რაინდს  
ამურის ისრის ღარად...

ო, სიყვარულო, მე კარგად ვიცი  
შენი აღმურით გზნება,  
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვიწვი,  
თავს ვინ დაიხსნის შენგან?

პარპირ მიქაელიანი  
სომხეთი

სინაიეთ



სინათლე სიხლში დუღს ვით ცდუნება,  
მზე უვავილების სურნელით მბანგავს,  
მიწა ქცეულა აპრილის ჩანგად  
და წყაროს პირით მიედუღუნება.

კლდე გარღვეულა ნაწი ფისგენით,  
მოტეხილ ტოტზე კვირტები სხედან,  
მე უკვდავების სასწაულს ვებედავ  
და ხიმწიფის ღმერთს ვეაღერები.

თითქოსდა ქვეყნად რაღაც იღვება,  
კვირტი კი მაინც იშლება წუნარად,  
ნეტა, ჩვენც ასე შეგვეძლოს მარად  
მკვდრეთით აღდგომა — აყვავილება!

მონადირე, შენ არ ისვრი თოფს,  
ჭირანი პატიებას გახოვს,  
წყალს დაეძებს მეოცნებე გული,  
ნუ მოუკლავ მეოცნებეს სურვილს,  
მწყურვალ ცხოველს შენ არ ესვრი თოფს!



ჭირანი მდინარისკენ გარბის,  
შენდობას და მეგობრობას ელის,  
მონადირე, შენ არა ხარ ხარბი,  
მონადირე, შენ არა ხარ მკვლელი, —  
მწყურვალ ცხოველს შენ არ ესვრი თოფს!

აქ სულ ჩქარა იხსრიალებს წყალი,  
აქ სულ ჩქარა ამწვანდება ვილი,  
მონადირე, არ მოჭუტო თვალი,  
მონადირე, შენ არა ხარ მკვლელი, —  
მწყურვალ ცხოველს შენ არ ესვრი თოფს!

მდინარესთან უწყინარი შეველი  
მოვა, როგორც მეგობარი ძველი,  
მოვა, წყლით რომ გაიგრილოს ყელი,  
მონადირე, შენ არა ხარ მკვლელი, —  
მწყურვალ ცხოველს არ ესვრი თოფს!

მონადირე, ჭირანი გახოვს,  
გახოვს უდაბნო, ტრამალივით ვრცელი,  
ფრთხილად, ჩახმაზს არ გამოჰკრა ხელი,  
შენ არა ხარ, მონადირე, მკვლელი, —  
მწყურვალ ცხოველს შენ არ ესვრი თოფს!

რალუ პარკე  
ესტონეთი

მუცია




ზღვის მიმოქცევას მაგონებს ისევ  
დღეები ტუბილი, დღეები მწარე, —  
შენ მაინც უნდა ისწრაფო მზისკენ,  
შენ მაინც უნდა ეტრფოდე მთვარეს.

არ გაგომართლებს, რა მოხდა, დიდხანს,  
იმედი ისევ არსებობს რადგან,  
იარე, გასწი, არავინ გითხრას,  
არ ეყო ძალა, დაეცა, დადგა...

წინ კვლავ დარდი და სიამე გილის,  
აშენე, ხატე, იბრძოლე, სწორე,  
შენ მეგობარი ეძებე შენი,  
სხვა ყველაფერი იქნება მერე!

ოიარ პასიპისი  
ლატვია

მე ვეიოქეტი



მე გელოდები გაწაფხულის გაჭვარდინზე.  
იქნებ შენც ასე გელოდები სადღაც შემთხვევით,  
მაგრამ ჩვენ მხოლოდ აქ თუ შევხვდებით.

ნაერწყლებს ჰერონ მღვრიე ზვირთები  
და ამ ქაოსში მატულობს წყალი.

ამ მღვრიე წყალში მხოლოდ დიდ გემებს  
არ ემუქრება მორევი ავი...

ვუმწერ დინებას, მშვიდად რომ შიამებ  
ჩემი ოცნების მუყაოს ნავი...  
და გელოდები გაწაფხულის გაჭვარდინზე!



მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ იყო. ანთიმოზ როგავამ მოსვლის პირველ წუთსვე უარყო ეს აზრი. უარყო საქმით. გამოირკვა, რომ ჭიში არ იყო მცირემოსავლიანობის მიზეზი, ხელმძღვანელი იყო.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ძალიან დიდი როლს ვაკუთვნებ ხელმძღვანელს, არა. ჩვენი სახალხო, სახელმწიფო საქმე საერთო, კოლექტიური ძალი-თა და გონებით კეთდება, მაგრამ თუ კოლექტივის სათავეში არ დგას საქმის მცოდნე, გამოცდილი, მომზადი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი, საქმე წინ ვერ წაიწევს. ამის საუკეთესო მაგალითი ანთიმოზ როგავას ბიოგრაფიაა.

მაშ ასე, ანთიმოზ როგავამ შეცვალა ჩივის საბჭოთა მეურნეობა, როგორც იტყვიან, ფეხზე დააყენა.

გავიდა ხანი, ანთიმოზი თავის კოლმეურნეობაში დაბრუნდა, იგი დაუბრუნდა იმ ადამიანებს, პირველი ხუთწლიანიდან მოყოლებული მასთან ერთად რომ იღწვოდნენ, მასთან ერთად რომ იღწვოდნენ ომის მძიმე წლებში და ომის შემდგომ არანაკლებ მძიმე წლების მანძილზე.

სასახლოდ იღწვოდნენ ამ სოფლის ადამიანები. ომის წლებში მათ უკანასკნელი კაპიტები შექმნდნენ ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად სახელმწიფოს საღაროში. გასაოცარი საქმეებით გაითქვეს სახელი აქაურმა ქალებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა — თამარ ყუფუნია, ლუბა სახოკია, ოლია ყუფუნია, ლილი რევიამ, ვერა ლომაია. მათ შორის მინდა გამოგვყავნებო ქაბუა. მას ქმარი ფრონტზე ჰყავდა, ათ შვილს ზრდიდა. დღე არ ბუფნიდა მის მოუსვენარ გულს, დღე არ უფუნიდა მის მოუსვენარ ხედებს. ფრონტს არ უფუნიდა სურსათი, არ უფუნიდა საქურველი. მტერი წინ მოიწვედა, ჭარისკაცების სამკუთხიან წერილებს შვირამბები მოქონდა ფრონტშიდან, კვირა არ გავიდა, დადუბული შვილის დედა არ აკვილებულიყო. დადუბული ქმრის ცოლი არ აცრემლებულიყო. ამიტომ არ უფუნიდა ვენერა ქაბუას გულსა და ხედებს დღე და ღამე, ჭრახის შუქზე კრეფდა ჩივის ფოთლს წვიმაში და ქარში და აი, ამ ქალმა, ათი შვილის დედა, უქმროდ დარჩენილმა ქალმა, ათი ათასი მანეთი შეიტანა ტანკის ასაგებად. იქ ქმარი ფრონტზე სისხლს ღვრიდა, აქ ცოლი დასითაც კრეფდა ჩივის ფოთლს, ბავშვები მშობერს ჰყავდა, თვითონაც შიშდა, ფრონტისათვის სისხლსა და ოფლს არ დაჭირდა და ათი ათასი მანეთი შეიტანა სახელმწიფო საღაროში.

ანთიმოზ როგავამ ახალსოფელში დაბრუნების პირველ დღიდანვე სწორედ შრომის დისციპლინას მოაქცია მთავარი ყურადღება. საქმის გამოსწორება იმ ადამიანებით დაიწყო, ადრე რომ ედგნენ მხარში, ძვალ-რბილში რომ ჰქონდათ გამჭდარი შრომის სიყვარული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

მეცხრე ხუთწლიდან წარმატებით განხორციელების პირველბარისხოვან ამოცანად ის მოაჩინა ანთიმოზ როგავას, რომ კოლმეურნეობის მუშაობა სოციალისტური შეჭიბრების გზით წარმართოს, შემოქმედებითი ძიების გზით წარმართოს.

კოლმეურნეობას მიწა არ ბუფნიდა. ტყითა და ჭაგნარით დაფარული მიწის დიდი ნაწილი აუთვისებელი იყო. ამოძირკვეს ტყე და ჭაგნარი. ადამიანის სამსახურში ჩააყენეს. რამდენიმე ასეული ბექტარი მიწა, მაგრამ კოლმეურნეობას მაინც არ ეყო თავისი მიწა. თავმჯდომარემ სხვაგან დაიწყო მიწის ძებნა. სოფელ დარჩელში ბევრი იყო უამირი და ახალსოფელშიც ამ უამირებზედაც შეიტანეს იერიში. პირველ რიგში მაღალმოსავლიანი და რენტაბელური ჭიშების პლანტაციების გაშენება დაიწყო. ყველა ეს პლანტაცია წელიწადში 1.000.000 მანეთს მისცემს კოლმეურნეობას, ერთ იმდენს, რასაც მანამდე არსებული პლანტაციები, ბაღები და ვენახები აძლევდა.

კოლმეურნეობაში ახალგაზრდობის დიდი რეზერვი იყო, მაგრამ მათი მტეი ნაწილი არ მუშაობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ქალაქში მიდიოდა. საქირა იყო მათი ბატონალური და მორალური დანტერესება. თავმჯდომარემ ახალგაზრდობის კრება მოიწვია, გააცნო მათ ხუთწლიანი გეგმა. გააცნო, თუ რა პერსპექტივებს უსახავდა თითოეულ მათგანს გეგმის განხორციელება. ანთიმოზ როგავამ იცოდა, ყოველდღიური, მაღალნაყოფიერი შრომა ახალგაზრდობას მოლიტიკურად და მოქალაქეობრივად მოამწიფებდა. დაწინაურა ასინი: ზოგი ბრიგადირად დანიშნა, ზოგი მერგოლურად აირჩიეს, აირჩიეს გამგეობის წევრებად, ჩააბეს სოციალისტურ შეჭიბრებაში.

წინათ კოლმეურნეობებში სოციალისტურ შეჭიბრებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ერთი კოლმეურნეობა მეორეს ეჯიბრებოდა. ერთი ბრიგადა მეორეს ეჯიბრებოდა, მაგრამ შეჭიბრების პირობებში არ ითვალისწინებდნენ, რა ვადაში დაეთესათ, გაეშენებიათ, შეეტანათ სასუქი, მოერწყათ, აეღოთ მოსავალი, რამდენი ტონა აეღოთ ყანიდან, პლანტაციიდან, ვენახიდან, ბაღიდან. არ ამოწმებდნენ შეჭიბრებაში ჩაბმული მხარეების მუშაობას. ასრულებდნენ თუ არა ისინი ნაქის ვალდებულებებს დროზე და ხარისხიანად. ასეთი „შეჭიბრება“ არაფერს ცვლიდა კოლმეურნეთა მუშაობაში. მათ ცხოვრებაში. კოლმეურნეობისა და საზოგადოების ეკონომიკაში.

დავიწყებული იყო, რა დიდი შემოქმედებითი ძალა აქვს კემპარიტ სოციალისტურ შეჭიბრებას. დავიწყებული იყო, რომ იგი ადამიანის ახალ ოცი

სებებს ავლენს, ახალ შესაძლებლობებს ავლენს, რომ მათი გამოვლენა მართო ერთი ან ორი ერთმანეთს შეჭიბრებულ ადამიანებში კი არ ვრცელდება, იგი ვრცელდება კოლექტივში, ათასობით ადამიანში, შემოქმედებით ძიებისაკენ წარმართავს მასებს, ავითარებს მათ ინიციატივას. ანთიმოზ როგავამ სწორედ ასე წარმართა სოციალისტური შეჭიბრება და იგი ახალგაზრდებიდან დაიწყო.

ერთი ადამიანი მეორეს რომ ეჯიბრება, ერთი ბრიგადა მეორეს რომ ეჯიბრება, ეს გამოწვევაა, ძალისა და გონების, სამშობლოსადმი ერთგულების შემოწმებაა. მიღწეული მიწის გადალახვის ცდაა. ეს ძიებაა, წინსვლაა. ეუბნებოდა თავმჯდომარე ახალგაზრდებს, — იმისათვის რომ მეცხრე ხუთწლიანი წარმატებით განვხორციელოთ, საქირა დაძაბული შრომა და დიდი სიყვარული.

— სიყვარული? — გაიკვირეს ახალგაზრდებმა.

— ზო, სიყვარული, — უთხრა მათ ანთიმოზ როგავამ. — ვინც სიყვარულით მუშაობს — ბევრს აკეთებს, კარგად აკეთებს. დიდა სიყვარულის ძალა. სიყვარული ნერვებს შემოქმედებითი სიფიცებს, ახალსადმი სწრაფვას, პერსპექტივის გრძნობას... თქვენ იცით, ვისგან უნდა აიღოთ მაგალითი. — განაგრძობდა თავმჯდომარე, — ვის მიზამთ. თქვენ ორმოცდათორმეტი შრომის გმირი გყავთ კოლმეურნეობაში. მათ კვალზე უნდა იაროთ. — ანთიმოზ როგავა გაჩუმდა, დაფიქრდა და თავის თავს გაუსწორა: — არა, არა მართო მათ კვალზე, უფრო ფართო გზით უნდა იაროთ, უფრო დიდ საქმეს უნდა მოეკიდეთ. დღეს ჩვენი პერსპექტივები, ჩვენი გეგმები უფრო დიდა.

უფრო დიდ საქმეს მოეკიდნენ არა მართო ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდები, უფრო დიდ საქმეს მოეკიდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკები. ამის ბრწყინვალე მაჩვენებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეთა მიერ მეცხრე ხუთწლიდან პირველი წლის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

ყოველი ახალი ხუთწლიანი ახალ წელს ახალი წარმატებით ვხვდებით. მეცხრე ხუთწლიანი ყოველ ახალ წელიწადს ახალი წარმატებით შევხვდებით. — თითქოს ჩემს ფიქრს განაგრძობს. ღიმილით მითხრა ანთიმოზ როგავამ და კმაყოფილებით და დაჭერებით ვადაზე ბორცვებზე ტერასებზე ასულ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს.

მწვანე ხავერდითი პრილა, მაძარ და მსუყე ფოთლებზე ბრჭყვიალებს. ლივლივებს გაზაფხულის მზურვალე მზე. ნელ ზღვაურზე ოდნე ირხევა მანდარინისა და ფორთოხლის ფართო ფოთლები, ჩაის ბუჩქების პატარა ფოთლები, ჩრდილი და შუქი მათ რხევსდაგვარად ერთმანეთს ენაცვლება. იცვლება ფერები, იცვლება სურნელი, არ იცვლება კოლმეურნეთა ახალი წარმატების სურვილი და იმედი.

კონკრტი შესვენების დროს. ფოტოები ი. შავითაშვილისა.



1970 წელი. საფრანგეთი. საკურორტო ქალაქ კონფოლანში ხალხური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. ამ ფესტივალზე ოცდაათი ქვეყნის სხვადასხვა ხალხური საკრავია წარმოდგენილი. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან საფრანგეთში გაემგზავრა ანსამბლი „სალხინო“.

როგორც წინასწარ იყო გათვალისწინებული, ჩვენი ანსამბლის სოლისტს, სალამურზე დამკვრელ ომარ კელაბრიშვილს რუმინული ხალხური სიმღერა „ტოროლა“ უნდა შეესრულებინა. მაგრამ ბოლო მომენტში ომარს ნომერი გაუქმეს. ეს არც იყო ფსავკერი. ფესტივალზე რუმინული ანსამბლიც ჩამოვიდა და, როგორც ოცევიან, განაუფრო უპირიანი არ იყო, რუმინული ხალხური მელოდია თვითონ რუმინელებს შეესრულებინათ?! ნომრის გაუქმება ადვილია. მისი მომზადება კი ძალიან ძნელი. ვინ იცის, რამდენი შრომა და წვალება დასჭირდა ომარს, რომ სრულყოფილად მოემზადებინა „ტოროლა“.

ცდუნების ძალა დიდი იყო. ომარ კელაბრიშვილი აუცილებლად უნდა წამდგარიყო მსაუბრებელთა წინაშე.

და აი კონფერანსივმ გამოაცხადა, რომ საქართველოს წარმომადგენელი ომარ კელაბრიშვილი შეასრულებს სიმღერას „მერცხალი“. ომარმა სალამურს ჩაბურთა. ყველა გაოცებული შესცქეროდა დამკვრელს: იგი რუმინულ ხალხურ მელოდია „ტოროლას“ უკრავდა.

ქართული სალამურის მელოდიურობამ მსმენელები მოაწადოვა. დარბაზი გაიჩინდა. ყველა სმენადმტყბარი შესცქეროდა შავგვრემან, ახოვან ვაჟკაცს, რომელიც თავდვიწყებით აკვნებდა სალამურს.

იმდენად დიდი იყო ქართული სალამურის შთაბეჭდილება ძალა, ომარი ისე გატაცებითა და ვირტუოზულად ასრულებდა მელოდიას, რომ რუმინელ მეგობრებს ერთგვარმა წყენამ თანდათან გაუარათ: ომარის სალამურს მათ თავიანთი სალამურებიც ააყოლეს და მთელ დარბაზში საზეიმოდ დაიჩა რუმინული მელოდია.

წარმტებამ მოლოდინს გადააჭარბა. ოცი ათასი ადამიანი დიდხანს ერთსულოვნად უკრავდა ტაშს ომარს. ვერც რუმინელი მეგობრები მალაღდენ ალტაცებას. ქართულმა სალამურმა დაიპყრო დარბაზი. ომარ კელაბრიშვილი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ომარ კელაბრიშვილი სალამურის ტრფიალია. მას ამ ხალხური ენიანი საკრავის გარეშე ვერც კი წარმოუდგენია სიცოცხლე. კავთისზეველ ყრმას სალამურზე დაკვრა მამამ ასწავლა. შემდეგ სწავლასა და დაძაბულ შრომასი სწრაფად გაფრინდენ წლები. ომარმა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაქულტეტი დამთავრა. სალამურზე უანგაროდ შეყვარებულ ომარს ერთი წუთითაც არ დაუნებებია თავი ამ ხალხური საკრავისათვის. იგი დღითიდღე უფრო სრულყოფდა და ხვეწავდა თავის ოსტატობას.

...1964 წელი. თბილისში ტარდება ხალხური შემოქმედების მეორე რესპუბლიკური კონკურსი. ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი ომარი ერთადერთი ნომრით უნდა გამოვიდეს ოპერისა და ხალხურის თეატრის ხალხით გაჭვდილ დარბაზში.

და აი ამ გარინდებულ დარბაზში გაიხმის კონფერანსივს ხმა:

„ქართულ საცეკვაოს სალამურზე შეასრულებს ომარ კელაბრიშვილი“.

ეს იყო ვირტუოზის პირველი საკარო გამოსვლა. ომარის დახვეწილმა საშემსრულებლო ოსტატობამ დამსწრეები მოხიბლა. აქამდე უცნობმა მსახიობმა ოქროს მედალი და ლაურეატობა დაიმსახურა.

— ამ წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, ილიკო სუბიშვილს უკმადლი; სწორედ მისი დაყენებუ-



# ომარ კელაბრიშვილი

ლი მოთხოვნით შეატანეს ჩემი ნომერი პროგრამაში. — გვიბრუნა სალამურის დროს ომარმა.

გერმანიაში ჩატარებულ ქართული კულტურის დეკლარაზე ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი ომარ კელაბრიშვილიც იღებდა მონაწილეობას. ქართულმა სალამურმა ბერლინსა და დრეზდენშიც გაიჩინა გერმანელი მეგობრები აღფრთოვანებულნი უკრავდნენ ტაშს ომარს, რომელიც რამდენჯერმე გამოიყვანეს სცენაზე.

პრესა აღფრთოვანებული იყო ქართული სალამურის მელოდიურობით. ომარ კელაბრიშვილის ვირტუოზული საშემსრულებლო ზელოვნებით.

— ბულღარეთში, რუმინეთში, თურქეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთსა თუ იტალიაში გასტროლების დროს, არასოდეს არ უდღალატია ჩემთვის აი ამ დალოცვილს, — გვეუბნება ომარი და უბიდან ამოღებულ სალამურს გვიჩვენებს.

მართლაც დალოცვილია ქართული სალამური.

— ქართულ სალამურთან სხვა სალამურები პრიმიტიული მეჩვენება. ჩვენი სალამური ენიანია, ყველამ შეიძლება დაუკრას. მას ბგერათა ხმოვანების მეტი ვასაქანი აქვს და თავისი მონაცემებით კლასიკურ საკრავთა შესაძლებლობას უახლოვდება.

სხვა სალამურები, ტერციულ ვარდნას განიცდიან მოცემული ბგერადან ბგერამდე, ისინი ორ ან რამდენიმე ბგერას სტოვებენ. ქართულ სალამურს ახასიათებს ბგერათა კანონზომიერი რიგი. აქ ეს ბგერები თანმიმდევრულად გადმოიდის და ბგერიდან ბგერაზე გადასვლის ნორმალურ შესაძლებლობას ქმნის.

კიდევ უფრო მეტიც: ქართულ სალამურში ბგერის მეოთხედი ტონის აღებაც კი შეიძლება.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი შესაძლებლობა აქვს ქართულ სალამურს, კიდევ ერთ საგულსიხმო ფაქტს მოვიყვანთ:

ამას წინათ საბჭოთა კავშირიდან კიბროსში გაემგზავრა კულტურის მუშაკთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულე ომარ კელაბრიშვილიც შედიოდა.

საბჭოთა მსახიობების გამოსვლას ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ინტერესით მოელოდა.

და აი უკანასკნელ მომენტში მოხდა შემთხვევა, რომელმაც კონკურტის წამყვანი ნომრის შესრულება შეუძლებელი გახადა. საქმე შემდეგში იყო: დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა სიმკვეყნოდ ცნობილი რუსი მსახიობი ნინა ტიმოფეევა.

მის გამოსვლას ყველა ცხოველი ინტერესით ელოდებოდა. მსახიობს კონკურტში წამყვანი ნომერი — „მომავდავი გედი“ უნდა შეესრულებინა. როგორც ცნობილია, ამ პარტიაში მელოდია ჩელოს მიჰყავს. ჩელოზე დამკვრელი კი მოულოდნელად ავად გახდა და სახელდახელოდ მისი შემცვლელის პოვნა ყოვლად შეუძლებელი იყო.

— უნდა გვიშველო, — უთხრა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ლევ კობალეტმა ომარს. — სხვა გზა არა გვაქვს, ჩელოს ნაცვლად სალამურით უნდა გაუწიო აკომპანემენტი ტიმოფეევას.

პირველი, ვინც ეს ამბავი იუცხოვა, თვითონ ტიმოფეევა იყო.

— როგორ? — იხახდა გაოცებული მსახიობი — უბრალო, პრიმიტიულმა ხალხურმა საკრავმა განა შეიძლება კლასიკური საკრავი შესცვლოს, განა შეიძლება აზრად გავივლოთ, რომ სალამურის აკომპანემენტით შეიძლება ამ უკვდავი შედეგის შესრულება!

ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. მეტი გამოსავალი არ იყო. ომარს სახელდახელოდ უნდა მოემზადებინა ეს ნომერი და ტიმოფეევას წინაშე რეპეტიციით წარმდგარიყო.

ომარი ლელავდა. იმედი ჰქონდა, მაგრამ მაინც ულავდა. აქ, სამშობლოდან შორს, საუქუნების გზაგამოვლილ ქართულ სალამურს ერთხელ კიდევ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა.

დაინიშნა რეპეტიცია. მსახიობები დაძაბული უტარდებოთ შესცქეროდნენ ომარს, რომელმაც უბიდან ახლა უკვე მშვიდად და დაჭერებით ამოიღო სალამური, მოხერხებულად ჩამოჭადა და თავისი საცვარელი საკრავი აკვნესა.

ქართული სალამური ეკიბრებოდა საჭვევინოდ აღიარებულ კლასიკურ საკრავს.

და აი შუა დაკვრამ ტიმოფეევა მოულოდნელად წამოხტა ადგილიდან, ომართან მიიჭრა, სახეგზადრულმა ხელი ჩამოაოთვა მას და მერე ჰერმის უბრალო სალამური მსუხრავლედ ჩაიკრა გულში.

დაცხვენილმა მსახიობმა ბოდიში მოიხადა, ომარის კი არა, ქართული სალამურის წინაშე.

კონკურტმა ბრწყინვალედ ჩაიბრა. ადგილობრივმა ტელევიზიამ ეს ნომერი ფირზე აღბეჭდა და ოქროს ფონდში შეინახა.

ომარ კელაბრიშვილი ნაყოფი მაგალითია იმისი, თუ როგორ შეიძლება შეიყვაროს; დაეუფლოს და ფართო პროპაგანდა გაუწიოს ადამიანმა თავის ერთგულ ხალხურ საკრავს.

— სამწუხაროდ, ჩვენი არც თუ ისე ბგერანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავყანს სცემენ სალამურს.


ჩვენც ვეთანხმებით ომარის ამ სიტყვებს. ქართულ სალამურს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხურ საკრავს, მეტი სითბო, მოსათუთება, სიყვარული და პოპულარობა სჭირდება.

განა ურიგო იქნება, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიხსნას სალამურზე დაკვრის შესწავლის განყოფილება?

ამისი მაგალითი უკვე მოგვცა რუსთაყის მუსიკალურმა სასწავლებელმა, სადაც ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები ომარ კელაბრიშვილის ხელმძღვანელობით იუფლებიან სალამურზე დაკვრის ტექნიკას.

ომარ დამბარაშვილი





ბა. მაგრამ დაწუნებაც არი და დაწუნებაც. ის დაწუნება მგონი არაგულწრფელ მოწონებას ათქვამს სჯობდა. მერე თავისი ხელნაწერები მაჩვენა. როგორ გულმოდგინედ, როგორ ლამაზად ჰქონდა ჩაწიკვნილებული თვითთული ბჭარი, თითქოს საგანგებოდ ნახატი ასობიანო. გულში ღრმად ჩამჩრჩა ის დღე. მას შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი მწერა ნელა, მწერა ისე ლამაზად.

აბა ფარ-ხმალს პირველსავე წაგებულ ბრძოლაში როგორ დავერდი. მართალია ქარისკაცური ცხოვრება ისეთ უაღრესად აგებულს, რომ თავისუფალი დრო კაცს ძალზე მცირე აქვს, მაგრამ მაინც ვახერხებდი და ვწერდი. ვწერდი და ყველაფერს კვლავ ანდრო თევზაძეს ვუგზავნიდი. ის იყო ჩემი პირველი მრჩეველი, კონსულტანტი, გზის მაჩვენებელი. მე მის ამაგს როგორ დავივიწყებ. მან

ღებული ვრჩებოდი, როგორც მაშინ, პირველად რომ მივადექი კარზე.

ყოველთვის, როცა რედაქციაში რომელიმე დამწყებ ავტორს ჩამოუქდებოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა, ჩემი თავი მახსენდებოდა... ვუყუარებდი ამ ახალბედა ავტორებს, რომელთა შორის ბევრი ნიჭიერი იყო და მათი აღმოჩენით ანდრო აღტაცებული იყო ხოლმე.

პირადად აგერ უკვე ოცდაშვიდი წელია ვიცნობ, მაგრამ მას, როგორც პოეტს, უფრო ადრე გავიცანი.

ანდრო თევზაძის მიერ გამოცემულ პოეტურ კრებულებს რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ ნამდვილი შემოქმედის გზას, შემოქმედისა, რომელიც ცხოვრების მაქისცემას ეხმარება, ასახავს ჩვენი დროის ყველა მნიშვნელოვან მომენტს. პირველი წიგნის სათაურია — „პირველი გავაფხული“, მეორე წიგნისა — „ვარსკვლავების ღიმილი“, მესამე — „დიდება გმირებს“, მეოთხე — „სისხლიანი ბილიკები“ და ბოლოს — „განახლება გული“.

ანდრო თევზაძე პოეზიაში მუდამ ჭაბუკური შემართებისაა. მისი მრავალი ლექსი სიმღერად აიტაცა ხალხმა. ზოგიერთი მისი ნაწარმოები კი ხალხში ისე გავიდა და გაითქვია, ავტორი ლამის მიავიწყდათ. ესეც ხომ თავისებური წარმატებაა, ხალხის სიყვარულის გამოხატულება.

დრო გადის, ანდროს სამოცი წელი შეუსრულდა.

პოეტის განახლებული გული ახალი სიმღერებისთვის ემზადება.

როცა ამ წერილს ვწერდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი სიტბო ჩამეკისოვა შიგ, „დროშის“ რედაქციის თანამშრომლები, უკლებლივ ყველა, მიკარნახებდა ჩვენი წილი სიტბოც გამოაყოლე სტრუქტურებს და ჩვენი კეთილი გრძნობებიც გამოხატე პატივცემულ ანდროს მიმართო.

ჩვენ ვულოცავთ და წერილობითაც ასე მოკლედ გამოვხატავთ ჩვენს მადლიერების გრძნობას მისი კეთილი ბუნებისათვის, კაცური კაცობისათვის და მადლიანი კალმისათვის.

იცოცხლოს განახლებული და მუდამ მომღერალი გულით!

თენგიზ გოგოლაძე

# ჰოუზი ეს კესპიანი

საქარისკაცოდ ვიყავი მოწიფული, როცა ანდრო თევზაძე გავიცანი. მაშინ მწერლობაში ბედი ვცადე და ჩუმად დავწერე მოთხრობა. ნაწერს ერთხანს სათუთად ვმაღავდი და ჩემს საიდუმლოს არავის ვუჩვენებდი. გავბედე და მწერალთა შორის ჩემს ერთადერთ ნაცნობს — ანდრო თევზაძეს მივუტანე. მეორე დღეს ქარში წავიდა. ომი ახალი დამთავრებული იყო, ქვეყანა ომით მიყენებულ ქრილობას იშუშებდა, ნაომარ ვაუკაცებს მშობლიური კარ-შიდაშო მონატრებოდათ, და აი, ჩვენ, ახალგაზრდებმა შევცვალეთ ისინი.

მეორედ შინ უკვე ქარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი მივადექი ანდრო თევზაძეს. უკვე ხაკმაო ზანი იყო გასული, მას შემდეგ, რაც პირველად მოკრძალებით შევალე მისი სახლის კარი. მაშინ არც კი მითქვამს, ქარში მივდივარ-მითქი. გაუკვირდა ასე რომ დამინახა, აი თურმე რატომ დაიკარგეო. მერე დამიჩადა, ჩემი ხელნაწერი გადმოიღო და... ჭერ ხელწერა დამიწუნა, მერე მოთხრობა

გამაცნო ცნობილი პროზაიკოსები — ლეო ქიაჩელი და ბორის ჩხეიძე.

ანდრო თევზაძესთან ერთი წუთითაც არა ვწყვეტიდი კავშირს. კალამი პოეზიაშიც ვცადე. მისგან მშრალი წერილები როდი მომიღოდა. ამ წერილებში იყო აღამიანური სიტბო, პოეტური მადლი; უფროსი მეგობრის დამაჭერებელი სიტყვა. იგრძნობოდა დიდი გულმისხიერება, რასაც იგი ახალგაზრდა, ჭერ კიდევ უმწიფარი, დამწყები მწერლისადმი იჩენდა. და ვანა მარტო ჩემს მიმართ იყო იგი ასეთი? დარწმუნებული ვარ მისი დაბადების მშველსთავზე მრავალ მილოცვაში გამოხატულია მადლიერების გრძნობა იმ გულმისხიერებისათვის, რასაც იგი თავისი მოწაფეების მიმართ იჩენდა.

გავიდა დრო. ბედმა ერთ რედაქციაში მოგვახვედრა მე და ანდრო. წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით თურნად „დროშის“ რედაქციაში. აქ კიდევ უფრო დაფუძნდით მას, გავუზინაურიდი, მაგრამ მისდამი ყოველთვის ისევე მოყრძა-

## მუდამ სამაგალითო

მცირე მოგონება

ომი ახალი დაწყებული იყო; იმ ხანებში ქსნის სადგურში უკვე ვეღარ შეხვდებოდით მატარებლის მომლოდინე ეტლებს. ეტლები და მეიტლები სადღაც გადაკარგულიყვნენ. მგზავრები ფეხით მიდიოდნენ სოფლებზე, მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება მაშინ ფონტისაკენ იყო მიპყრობილი;

ლაბორატორიაში. მარჯვნივ — ნატალა ლომოური



ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ერთი წუთითაც არ ვივიწყებდით ჩვენს საქმეს, თავს ვეფლებოდით ვენახებს, ჩვენი სიმღერისა და ბარაქის წყაროს. მაშინ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის ახალბედა მეცნიერ-მუშაკი ვიყავი და ცდებხს მუხრანის ვენახებში ვატარებდით. ჩემთან ერთად იყო რამდენიმე მეცნიერ-მუშაკი. ჩვენი ხელმძღვანელი ნატალია მახარაძე-ლომოური გახლდათ. იმ ხანებში ხშირად ავადმყოფობდა და მისი სული და გული მუდამ ჩვენთან იყო, თბილისიდან მუხრანში გავწვდიდა თავის ხმას, რჩევა-დარიგებას.


ერთხელ, ის დღე არასოდეს დამავიწყდება, საშინელი ქარი ამოვარდა და შხაბუნა წვიმა წამოვიდა. წვიმა კარგა ხანს ეხეთქებოდა ჩვენი საცდელი სადგურის ფანჯრებს. აბა რა უნდა გავკეთებინა იმ თავსხმაში ვისხედით და გამოდარებას ვუცდოდით. უცებ კარზე ვიღაც მოგვადგა. მგზავრი გვეგონა, წვიმამ რომ მოუსწრო... აგერ, ორი-სამი საათია, რაც გადაუღებლივ წვიმიდა. კარს ვეცი, გამოვადე და ჩემს გაცნობას საზღვარი არ ჰქონდა, თავიდან ფეხებამდე ვალუმბული ნატალია ლომოური რომ დავინახე. მივცვივდი, სველი ტანსაცმელი გავხადეთ, შევამშრაღეთ. ვიცოდით რომ ღოგინში მწოლიარე ავადმყოფი იყო, ახლა კი ასე მოულოდნელად დაგვადგა თავზე. ვეღარ მოვითმინეთ, — დამნაშავე ბავშვით ძლივს დასძრა ენა. თურმე შინიდან გამომარულა სიცხიანი, ამ თავსხმაში სულ ფეხით გამოველო გზა ქსნის სადგურიდან მუხრანამდე. ჩაწვა ღოგინში და სული რომ მოითქვა, მაშინვე გკითხა, როგორ მიდიოდა საქმე.

# ინუნა



მთვარემ ცის მკერდზე გამართა მხრები,  
სალამოს სუნთქვაზე გაგრილდნენ ქვები  
(ღმერთმა დაგვიფაროს,  
მკერდებში ქვები გვეწყოს.  
ირენა!)  
ამაღამ უკვე გზას დაადგები,  
ირენა!

# ლოინა



დამაჩახა ბადრი მთვარის ყანწი.  
მზის რძესავსე ძუძუ მომაწონა —  
სტრიქონ-სტრიქონ მკარნახობდა ამ წიგნს  
რუმინული სალამური —  
ლოინა.

მიმავალ დღეს წავაფრინდი ფრთებში.  
ვერ ვაჩერებ... შეაჩეროს დრო ვინა...  
რა საოცრად ტკბილად რეკდა მთებში  
რუმინული სალამური —  
ლოინა.

კარპატებზე ვით ვეება თევში,  
ცა დაემხო, ღამაწია, ჰოი, რა!  
კვლავ ხმატკბილად უღერდა კარპატებში  
რუმინული სალამური —  
ლოინა.

მიწამ უკვე დღის ფერები უხვი  
ნიშა კამჩის — ღამეს მოაძონა,  
სიზმარშიაც გულს მივსებდა შუქით  
რუმინული სალამური —  
ლოინა.

გამომიხსნა უცხო, ხილვის კარი  
სიცოცხლის რტო თავით დამიღო იმან.  
ნურც ჩამდგარა მაგ სიმღერის ქარი,  
რუმინული სალამური —  
ლოინა.

ერთი კაფანდარა გოგოა,  
ერთი პოლონელი გოგო.  
ყაყაჩოს ვამსგავსე როგორაც,  
და შეველსაც მოგავდა როგორ!

მის სუნთქვაზე ყაყაჩო გაბრუნდება.  
შვედს რაღა მოუვა, ვერც იტყვიო...  
ბულგარეთიდან პოლონეთს ბრუნდება.  
ეფორიეში შეჩერდა ერთი დღით.

და აი შევეფეთე ზღვისპირას,  
ჩამავალ მზის შუქში იდგა.  
როს ჩემი პოლონური ისმინა —  
რაღაც ორიოდ სიტყვა,  
შემხედა, ჩიქურად მკითხა  
(ის მწერა კვლავ ნათელს მფენს):  
— გიყვარტ პოლონეთი?  
— მიყვარს!  
— მაშინ მეც მიყვარხართ თქვენ!


ერთი კაფანდარა გოგოა,  
ერთი პოლონელი გოგო,  
მე მას შეველს ვადარებ როგორაც.  
ყაყაჩოს ამსგავსებს ზოგი.

ბილიკი — დაქიმული თოკი —  
სილაში იკარგება სადღაც,  
გრილ ქვებზე ცოვი ტალღა ტოკავს,  
ცხელ გულში მზის თაქარა ჩადგა.

...მზე ჩადის,  
ჰაერში შვინდისფერი ირევა.  
ირენა!

მოვასწარ, გასწავდე შენი სახელის  
ქართულად დაწერა,  
ირენა!  
ზღვის ლურჯი ტალღები მოცახცახენი  
დაისმა დასერა,  
ირენა!

# ნუსთქევი ნუქინეთუკი



„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს  
ვიქტორ კერნბახს

თავდავიწყებით, გაჩიქებით,  
რიდით და შიშით  
ის დიდხანს ეჭდა რუსთაველის  
ვნებიან ბჭყარებს,  
ცათა სივრცეში აღმათ ასე  
ხედებიან ქარებს,  
თვალს რომ აგვივებს ვარსკვლავების  
ოქროსფერ ქვიშით.

ამ ვარსკვლავთ ეღვამ, უსაშველომ,  
მოსჭრა თვალები,  
ახშირანა რუმინული ჩანგი წკრიალა  
და მშობლიური ლექსის ცაზე  
აბრდღვიალა  
შოთას პოემა, სავსე ლეღვით  
და ბრწყინვალეობით.

დიახ, საქმე და მხოლოდ საქმე აღდევებდა მას. ძალიან აფიქრებდა და აწუხებდა ვაზის ბედ-იღბალი, მისი აწმყო და მომავალი.

ნატალია ლომოურმა მრავალი შრომა მიუძღვნა ვაზის პათოლოგიისა და ანატომიის საკითხებს.

ვაზის უბოროტეს მტერს, ფილოქსერას მანამდე ვერაფერს უხერხებდნენ. ნატალია ლომოური მთელი არსებით მიეცა ამ რთული პრობლემის გადაწყვეტას. თავის კოლეგებთან ერთად მან სულ მოკლე ხანში შეისწავლა ქართული ვაზის სტანდარტული ჩიშების ანატომიური აგებულება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რქაწითელსა და საფერავს. მალე დაასკვნა კიდევ, რომ რქაწითელი შედარებით ფილოქსერაგამძლე ჩიშს ეკუთვნის, საფერავი კი ამ მწერისადმი მეტად მგრძნობიარეა. მალე ნატალია ლომოური ცნობილი მეცნიერის, პროფესორ სოლომონ ჩოლოყაშვილის მითითებითა და ხელმძღვანელობით დაამუშავა და გამოსცა ნაშრომი: „ვაზის ზოგიერთი ჩიშის ფილოქსერის წინააღმდეგ სხვადასხვაგვარი გამძლეობის დამოკიდებულება ფესვთა სისტემის ანატომიურ აგებულებასთან“. ამ ნაშრომმა საყოველთაო აღიარება პოვა, დიდი მოწონება დაიმსახურა და დღესაც მევენახეთა სამაგიდო წიგნად ითვლება არა მარტო ჩვენში, საზღვარგარეთაც.

ნატალია საერთოდ სუსტი აგებულების ქალი იყო, ხშირად ავადმყოფობდა. მაგრამ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ერთი წუთითაც არა სწყვეტდა. სანამ ძალია შესწევდა, ხალხის სამსახურს ახმარდა ყველაფერს. ვარციხის, მუხრანისა და მუკუწის საბჭოთა მეურნეობებში ჩატარებული მუშაობის შედეგი იყო ნ. ლომოურის ახალი ნაშრომი „ერთწლიანი ნაშენის მერქნის მიკროფლორა“.

ჩვენი ვენახებისა და ჯერებისათვის საჭირო იყო პირველხარისხოვანი ნერგი, საუკეთესო ნაშენი. ჩიშთა შერჩევის ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე მევენახეობის კათედრამ ნატალია ლომოურს მიაწოდო.

როგორც მანამდე, ისე ომის წლებშიც ნატალია წუთითაც არ სტოვებდა თავის სამოღვაწეო უბანს. მან დააგროვა და დაამუშავა მდიდარი მასალა, რომელიც ნაშენი ნერგის მერქნის მიკროფლორას შეეხებოდა. მიღებული შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ იგი შეტანილ იქნა მევენახეობის სახელმძღვანელოში და დანერგილია წარმოებაში.

ნატალია ლომოური, როგორც თვალსაჩინო მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა სპეციალისტების ზრდას, სისტემატურად ეხმარებოდა — აძლევდა სასარგებლო რჩევა-დარიგებას.

და ის დაუფიქრებელი დღეც ხომ სწორედ ამისი დამადასტურებელი იყო. ჩვენ, მუხრანში მყოფ ახალგაზრდა სპეციალისტებს, მისი მადლიანი ხელის მიშველება გვჭირდებოდა.

ყველას გვიკვირდა, სად ჰქონდა ამ ქალს იმდენი ენერჯია. მასთან ერთად მუშაობამ დამარწმუნა, რომ ნატალია იყო ნიშნული ნამდვილი მეცნიერ-მუშაკისა. იგი უღროოდ წავიდა ჩვენგან, უაღრესად განათლებული, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, სათნო ადამიანი.

ნატალიას სიკვდილის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ ჩვენთვის, მისი მოწაფეებისათვის, ის მუდამ სამაგალითო დარჩა.

დ. გიგეშიძე  
ლოცვით.

# გენალი და ზინოსოვოსი

პრიგოლ სკოპოროდა

მისი სამშობლო უკრაინა... აქ დაიბადა იგი, 1722 წელს, სოფელ ჩორნუხაში (პოლტავაში).

დღეს ამ სახელს კრძალვით იხსენიებს ყველა უკრაინელი, ვისთვისაც ძვირფასია დიდი ერისკაცის ამაგი და ღვაწლი.

იგი აღზარდა უბრალო, მშრომელი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის წრეში. ბავშვობაშივე ეზიარა მათ შორის ფიქრებსა და სიმღერებს. მშობლიური მიწის სიღამაზე და სიყმაწვილის ფიქრები იქცა შემდგომ მისთვის პოეტური აღმავრუნისა და შემოქმედების წყაროდ.

უკრაინელ პოეტთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უმღერა მშობლიურ ბუნებას, უმღერა ამწვანებულ ველ-მინდვრებს, უსაზღვრო ტრამალებს...

მუსიკოსი, პოეტი, პროზაიკოსი, პედაგოგი-ნოვატორი, ფილოსოფოსი, ჭეშმარიტი სახალხო განმანათლებელი...

ყველგან თავისი სიტყვა თქვა, სხვათაგან გამოჩეული, მხოლოდ მისეული.

მან გახადო ხიდი ძველსა და ახალ უკრაინულ კულტურას შორის და შთამომავლობას ანდერძად დაუტოვა სიტყვისა და საქმის, ცოდნისა და ცხოვრების მარმონიულობის იშვიათი მაგალითი.

საყვარელ სამშობლოზე, მშობელ ერზე ფიქრში და წუხილში დაუღამდა მას წუთისოფელი. არც არა-

ფერი სდომებია სხვა. სოფელ-სოფელ დადიოდა და ძალასა და ცოდნას არ იშურებდა ხალხის გასანათლებლად.

სადაც არ უნდა მისულიყო, ბედნიერება და სინათლე მიჰქონდა სასურველ სტუმარს.

სწორედ ეს პერიოდი ყოფილა მისთვის ყველაზე ნაყოფიერი. მაშინ დაუწერია „ხარკოველი იგავების“ დიდებული წიგნი, ფილოსოფიური და პედაგოგიური ტრაქტატები...


72 წელს მიღწეული მწერალი ხარკოვთან სოფელ ივანივკაში მეგობრებთან დასახლდა. იქვე გარდაიცვალა ნოემბრის ერთ დღეს.

მეგობართა თქმით, სიკვდილის მოახლოება რომ უგრძნებია, ბაღში ჩასულა და სამარე გაუთხრია, მერე პერანგი გამოუცვლია, გულდაგულ მოუგრძობია წიგნები, ხელნაწერები, თავქვეშ ამოუწყვია. მოსასხამი გადაუფარებია და სამუდამოდ მისძინებია.

სკოპოროდინივკა ჰქვია ახლა იმ სოფელს.

უკრაინელმა ხალხმა არა ერთი ლეგენდა და სიმღერა შეთხზა საამაყო შვილზე.

ამბობენ, ახლო ნაცნობობა ჰქონიათ გრიგოლ სკოპოროდასა და ჩვენს დიდ პოეტს და ვით გურამიშვილს, რომელმაც თავისი მეორე სამშობლო უკრაინის მიწაზე ჰპოვა.



„მის მსოფლმხედველობაში ბევრი რამა ჩემთვის ახლობელი. ამასწინათ ერთხელ კიდევ გადავიკითხე. მიინდა რამე დავეწერო მასზე. აუცილებლად დავწერ. მისი ბიოგრაფია მგონი, მისსავე ნაწარმოებებსა სჭობს, მაგრამ თვით ნაწარმოებებიც რა მშვენიერია!“ — უთქვამს ლევ ტოლსტოის სკოპოროდაზე.

გრიგოლ სკოპოროდა გარდაიცვალა 1794 წელს.

ჯაბა ასათიანი

## კომიკები

ვინც მეცნიერებაზე ფიქრობს, იმას მეცნიერება უყვარს, და ვისაც უყვარს, არასოდეს შებეზრდება სწავლა, ერთი შეხედვით კიდევ რომ უმოქმედო კაცი ჩანდეს.

იცხოვრო იხე, რომ არაფერი ინაღვლო, არაფერმა შეგაწუხოს, ეს იმას ნიშნავს კი არ ცოცხლობდე, არამედ იყო მკვდარი, რამეთუ წუხილი — მოძრაობაა სულისა. სიცოცხლედ — მოძრაობაა.

იმაზე ტკბილი რა უნდა იყოს, როცა უყვარხარ და შენსკენ მოიღვინებ კეთილი სული?

უზომობა — მოყრებებს იწვევს, მოყრებთა — მოწყენილობას, მოწყენილობა კი — სულიერ სევდას, და ვისაც ეს სენი შეეყრება, იმას ჯანმრთელი არ ეთქმის.

სიყვარული სიყვარულით აღიძვრება; ოდეს მსურს რომ ვუყვარდე, უწინ მე მიუყვარს.

რაც უფემურია, განა ყველაფერი საწამლაგია.

ყველა დანაკარგთაგან დროის დანაკარგვა უმძიმესი დანაკარგია.

უგუნურს დანაკარგის გამო სინანული სჩვევია და არა დაფხუბა იმისა, რაიც წაერთვა.

ერთ მეგობარსაც ვერ შეიძენ იხე, იმასთან ერთად ორი ან სამი მტერი თუ არ გაიჩინე.

ხილულის შემწეობით უჩინარი შეიცანი.

ბრძენს ბაღამიდანაც უნდა შეეძლოს ოქროს გამოჩევა.

ვისაც სული სტკივა, იმისთვის ჭვენიერებაც მწუხარია.

სინათლე გვიმთვარეობს იმას, რასაც წყველიაღში ვხვდებოდით მხოლოდ.

რის მაქნისია ფუჭი კაკალი — უგულო კაცი.

თუ იცი, რა მალამოს ხმარობენ მორიელით დაგესლილნი? მორიელითვე იწელენ ნაკბენს.

სიცრუე დამთრგუნველი და ხელისშემშლელია, ამიტომაც უფრო მეტია მასთან ბრძოლის სურვილი.

მომავალზე ვოცნებობთ, აწმყოს კი უფულველვეყოფთ: არარსებულს მიველტვით და არად ვაგდებთ არსებულს, თითქოს წარსული უკან დაბრუნდება, ანდა უცილოდ აღსრულდება მოლოდინი.

განა არ გსმენია, რომ საუკუნის შვილები უფრო ბრძენნი არიან, ვიდრე ერთი დღისანი?

ტკბილს ნუ ეტყვი იმას, რაც სიმწარეს ბადებს, განა საკვირველი არ არის, რომ ერთი სიმღიდრეში ლატაკია, სხვა კი სიღარიბეში მდიდარი?

რა ბედენაა მწვანე ფოთოლი, ოდეს ფესვია უსიცოცხლო? უგუნურობაა იმის გამოთხოვა, რისი მიღწევაც თვითონ ძაღვიძს! თუ მხნედ მიბაძებ იმ გზაზე, რომელსაც დაადექი, ჩემის აზრით, ბედნიერი ხარ.

განა შეუძლია თეთრზე საუბარი იმას, ვისთვისაც უცნობია შავი? როცა თევზი დაქერილია, აღარ დასჭირდება მისატყუებელი.

მომავალი, მზიარულად გათენებული დღე — გუშინდელის ნაყოფია, როგორც ტკბილი სიბერეა — კარგი სიყმაწვილის საჩუქარი.

ბედნიერია ვისაც საშუალება ჰქონდა შეექმნა ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ უბედნიერისა ის, ვინც ამ ცხოვრების მოხმარება შეიძლო.

თუ ვერ აღაგმე, ვერ დაჯახნე მოწყენილობა, ფრთხილად იყავი, შენი პატრონებიდან მორალურ ბოროტებამდე სულ ერთი ნაბიჯია.

არავის ძალუძს ჩაქლას თავისი ბოროტება, სანამ არ ჩასწვდება არსს ამა უკეთურობისას, სანამ არ მიხვდება, რა არის სიკეთე. თუ არ გეცოდინება საკუთარი სიავე, როგორ შეიძლება შეიცნოს და განდევნოს ბოროტება სხვათა.

თუ არ ძალმიძს საყვარელ სამშობლოს სამსახური, იმას შინაც ვეცდები არაფერი ვავნო მას.

ჩვენ მოვალენი ვართ გამოვასწოროთ ან ავიტანოთ მეგობართა შეცდომები, თუ კი ეს შეცდომანი უმნიშვნელოა.

ვინც კეთილად აღენთო, იმან კარგად დაიწყო, კარგი დასაწყისი — საქმის ნახევარია.

ო, იხე დიდებულად წერა რომ შეგვეძლოს, როგორც ვაზროვნებთ!

უკრაინულიდან თარგმნა

ჯაბა ასათიანი.

# ქართული მიწის საიდუმლოებანი

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ აკად. შალვა ამირანაშვილის თაოსნობით არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ზემოთხსენებულში. ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციამ მდ. ყვირილას ზემო წელზე, დღევანდელი საჩხერის რაიონში, მიაკვლია და შეისწავლა ქართველი ხალხის მიერ შორეულ წარსულში შექმნილი მატერიალური და მხატვრული კულტურის ბრწყინვალე ძეგლები.

ჩვენი ქვეყნის ამ მდიდარმა და ლამაზმა კუთხემ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მიიქცია მკვლევარ-არქეოლოგთა ყურადღება. 1918 წელს აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა დაბა საჩხერეში აღმოჩენილ შესანიშნავად ნახელავ ბრინჯაოს ნივთებს ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა და იქ მოპოვებული მასალის კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურის, სპილენძ-ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა. ე. თაყაიშვილის დაწვებული საქმე შემდეგში პროფესორმა ბ. კუფტინამ და ოთარ ჯაფარიძემ განაგრძეს. მათ საჩხერის რაიონში გათხრების შედეგად გამოავლინეს მიწათმოქმედი და მელითონე ტომების მეტად ძლიერი და თავისებური კულტურა. ეს მასალები მალე მსოფლიოს არქეოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ძველი სამყაროს ისტორიის მკვლევარებმა საჩხერულ მასალებს სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს და III ათასწლეულის მსოფლიოს არქეოლოგიურ ძეგლთა შორის შესაფერისი ადგილი დაუმკვიდრეს.

მეცნიერთა მიერ მდ. ყვირილას ხეობა ერთხმად იქნა აღიარებული მეტალურგიის მძლავრ და უძველეს კერად ამიერკავკასიაში და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. ბუნებრივია, რომ ძველი კულტურის ტრადიციები აქ შემდგომ ეპოქებში კიდევ უფრო უნდა აღორძინებულიყო და მართლაც უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ექსპედიციებმა გათხარეს და შეისწავლეს ძვ. წ. აღრიცხვის II და I ათასწლეულის მრავლის მეტყველი არქეოლოგიური ძეგლები.

1957 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა, აწ განსვენებულმა ნ. ლამბაშიძემ საჩხერიდან 8 კილომეტრით დაცილებულ სოფელ საირხეში მიაკვლია გრანდიოზული ტაძრის ფრაგმენტებს. მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან გამოკვეთილი, ნატიფი ორნამენტით შემკული დიდი და მცირე ზომის სვეტისთავები იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველო წარმოადგენდა ხუროთმოძღვრების უძველეს ქვეყანას. ეს აღმოჩენა სრულიად გარკვევით ადასტურებს ბერძენი მწერლების ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიაში დგას არქიტექტურის წესისამებრ მოწყობილი ტაძრები და სასახლეები. საირხეში სვეტისთავების თავდაპირველი აღმოჩენის ადგილზე ექსპედიციამ გამოამწეურა ნაგებობათა ნაშთები, კირქვისაგან გამოქანდაკებული ლომის თავის გამოსახულებანი, საკულტო დანიშნულების ფალაური საგნები და სხვა. მასალების მხატვრული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ქანდაკება და ხუროთმოძღვრება იყენებს ძველ მსოფლიოში არსებულ საღმრთებლო ტექნიკის მიღწევებს და მხატვრულ ხერხებს, მაგრამ ნაგებობათა სტილი ეროვნულ ხასიათს ატარებს და იგი საგრძნობლად განსხვავდება როგორც ბერძნული, ასევე ირანული ადრეანტიკური ხანის ხელოვნებისაგან. ამაზე გარკვევით მეტყველებენ უკანასკნელ ხანაში ვანში აღმოჩენილი ტაძრები და ოფთო საირხეული კაპიტლებიც, რომლებიც ფორმით დორიულს ჩამოგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით ექვსი მოჩუქურთმებული აქვს. საირხეში გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფალაური საგნები, ქალის ქანდაკებები, ბერძნული და აღმოსავლური მოხატული კერამიკის ნიმუშები იმაზე მიუთითებენ, რომ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში ამ სოფელში არსებობდა ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული გრანდიოზული ტაძარი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მცხოვრები დიდი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი აღნიშნავს, რომ საქართველოში, მოსხერების ქვეყანაში იდგა ლეგვითაის მდიდარი ტაძარი, რომელიც ჩემ მახსოვრობაში ჯერ ფარნაქში, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვა. ძნელია ახლა იმის თქმა, თუ სად მდებარეობდა ლეგვითაის ტაძარი, ერთი კი ცხადია, რომ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ წერილობითი ცნობების სიზარტულს და სრულიად მიუთითებენ, რომ ანტიკური ხანის საქართველოში ბევრი მდიდარი და დიდებული ტაძარი იყო აღმართული.

ბუნებრივია გვეფიქრა, რომ რაკი საირხეში არსებობდა ტაძარი, აქვე უნდა ყოფილიყო დაბის ან ქალაქის ტიპის დიდი დასახლება. ექსპედიციამ სოფლის დასავლეთით მდებარე თხუთმეტ ბორცვზე და მათ გარშემო უზარმაზარ ტერიტორიაზე აღმოაჩინა ანტიკური ხანის ნაქალაქარი. აქ მიწის ყოველი მტკაველი ჩვენი შორეული წინაპრების ხსოვნას ინახავს.

ერთ ადგილზე, რომელსაც საზოგადოებრივი ეპიხიან, გაითხარა ფერადი მეტალურგიის საწარმოო სახელოსნო. ნაგებობათა ნაშთების კედლებს გარეთ და კედლებს შიგნით, მრავლად ეყარა ბრინჯაოს ზოდები და წილები, თიხის ჭურჭლის აუარებული ნაშთები, საბერგელის საქმეების მიღები, თიხის მასიური ჭურჭელი (ტოგელები), რომელშიც გაშლნარი ლითონის დაქალიბება ხდებოდა; სხვა ადგილზე აღმოჩნდა ფოლადის მეტალურგიული წილები, რკინის მადნის ნაშხვრეები. მასალების ქიმიური ანალიზები ვიდრესტრუბენ, რომ 2900 წლის წინათ, კოლხეთის ძლიერების ხანაში, ოდითგანვე სახელგანთქმულ მეტალურგ ტომებს ლითონის დნობის მაღალი ტექნოლოგია შეუმუშავებიათ

და ამ საქმით მაშინდელ მსოფლიოში უსახელებიათ თავი. ადრეულ ხანაში ამის შესახებ ლაპარაკია ბიბლიაში, ხოლო შემდეგ ბერძენი მწერლები მრავალგნის მოგვითხრობენ ქართველ მელითონეთა შესახებ. დიდი არისტოტელე წერდა: ხალიბური რკინის ნაწარმი განსაკუთრებით კარგია იმის გამო, რომ ისინი მადნში რაღაც გარეცხილ ქვიშასა და ცეცხლგამძლე ქვას დებენ, რაც ამ ქვეყანაში ბევრია და ამის გამო რკინა ვერცხლის თვისებებს იძენს. ტექსტიდან ირკვევა, რომ აქ ლაპარაკია უზანავე ფოლადზე. შესაძლებელია, მარგანეით მდიდარ საბადოებთან გაშენებულ სოფელთა სახელები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მეტალურგიულ ტერმინებს, ხოლო ზოგჯერ ქართულ ტომთა სახელებს უკავშირდება (ზოდი, ხალიფოური, ბუნიკაური, პერევი), ხსოვნას ინახავდნენ იმ ხალხის შესახებ, ვინც ძველ მსოფლიოში სახელი გაუთქვა ქართულ ფოლადს.

საირხეში აღმოჩენილია მასალებმა ჩვენ იმ დაცვენადე მიგვიყვანა, რომ ეს სოფელი აღნიშნული მხარის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრად მივიჩნიეთ. ადრეანტიკურ ხანაში (V-IV სს) თუ არსებობდა ცენტრი, ხომ უნდა არსებულიყო მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა? ამ საკითხზე რომ პასუხი გავცა, ექსპედიციამ აწარმოა დაწვერვითი ხასიათის სამუშაოები და მდინარე ყვირილას ხეობაში ათეულობით ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი აღმოაჩინა.


განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქალაქ საჩხერის ჩრდილოეთით მდებარე გვიანფოლადური ხანის ციხე მოდინახის სანახებმა. ციხის სამხრეთ ფერდობზე გაჭრილ სადაწვერვო თხრილებში კულტურული ფენის სისქემ ხუთ მეტრს მიაღწია, მეოთხე მეტრზე აღმოჩნდა ნამოსახლარი იმ ტომებისა, ვინც საჩხერული ადრეანტიკური ხანის კულტურა შექმნა. 5000 წლის წინ აქ მოსახლეობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები. ისინი ლითონს აღნობდნენ რაჭა-იმერეთის ქედის მზიურ ფერდობებზე და ქერს თესავდნენ მთებს შორის გაშლილ ხოლადუნებზე. ამ უძველესი მიწათმოქმედი და მელითონე ხალხის კულტურა ჩვენთვის დღემდე მხოლოდ სამარხებიდან მომდინარე ნივთებით იყო ცნობილი.

მესამე ათასწლეულის საცხოვრის თავზე ედო გვიანბრინჯაოს — ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი (ძვ. წ. XII-IV სს). მისი საერთო სისქე სამ მეტრს აღწევდა. ნამოსახლარის ფენები სხვადასხვა დროს გამოყენებული ყოფილა სამაროვნებად. ძველი ჩვეულების მიხედვით ადრეანტიკურ ხანაში მიცვალებულები ეზოების გაღამა, ტერასების ძირში უსაფლავებიათ. მოდინახეზე რამდენიმე ადრეანტიკური ხანის სამარხი იქნა გათხრილი, მათ შორის ზოგი მდიდრული იყო; შეიცავდა ვერცხლის ნივთებს, თიხის ჭურჭელსა და ოქროს სხივანა საყურეს. სხივანა საყურეები ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებს ამშვენებს მხოლოდამხოლოდ. დღემდე ამგვარი სამკაულები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არსადა მოპოვებული. ვანის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი მხატვრულად სრულქმნილი საყურეები ქართული უძველესი ოქრომჭედლობის შედეგებს წარმოადგენენ.

მოდინახეზე, როგორც ნამოსახლარ ფენებში, ასევე სამარხებშიც აღმოჩნდა ბერძნული კერამიკის ნიმუშები. ერთი მათგანი დაფარულია შავი ლაკით და ძირზე პალმეტებით შეკრული წრიული გვირგვინი შემოუყვება. მსგავსი ჭურჭლები ამერიკელთა ექსპედიციის მიერ მოპოვებული იყო ათენის აგორაზე. მოდინახეზე აღმოჩენილი ჭურჭელი ატიკური სახელოსნოების ნაწარმია ეკუთვნის და იგი ძვ. წ. აღრიცხვის V საუკუნით თარიღდება. აქვე აღმოჩნდა წითლად მოხატული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თავის დროზე ირანიდან უნდა იყოს შემოტანილი. მოდინახეზე უცხოური ნაწარმის არსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უძველესი სატრანზიტო გზა, რომელიც ელადის პორტში იწყებოდა, სერავდა პელესპონტსა და პონტოს, მდინარე რიონში შედიოდა და შორაპნიდან ყვირილის ხეობის ვიწროებში გამართულ გზებზე და ხიდებს მიჰყვებოდა, მიდიოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ.

ქართული სახელმწიფოსა და მისი კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოდინახეზე აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლებს. უძველესი ნამოსახლარები აქ გვიან ხანაში სამაროვნად გამოუყენებიათ იმათ, ვინც ამ პროვინციის გამგებელი და ბატონპატრონები უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანული ეპოქის დასაწყისში.

მიწის სიღრმეში მეტრნახევარზე ჩაშვებული სამარხების ნაწილი აშენებულია ქვის ცალბირი კედლებით. სამარხების უმრავლესობა შეიცავს მდიდრულ სამკაულს. სადღესოდ აქ მოპოვებულია ორასამდე ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა დანიშნულების ნივთი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბაქალლო ოქროსაგან დამზადებული და პატოსანი თვლებით შემკული მხრებადაკუთხული მასიური ბეჭდები. ბეჭდების ნაწილს ამშვენებს გემები, რომლებზედაც მაღალი ხელოვნებით არის ამოკვეთილი ცხოველები, ფრინველები; ერთ მათგანზე ამოკვეთილია მამაკაცის მთლიანი ფიგურა. გემების გარდა ბეჭდის თვალბუდეებში ჩამაგრებულია ცამეა. იგი წარმოადგენს მაღალ რელიეფში ამოკვეთილ ქალის (მედუზის) პორტრეტს.



# ქვეყნის

წაფორხილებულს მიეშველე, ხელი წააფლე,  
გაიზიარე მძიმე ხვედრი ლაფში ჩაფლულის.  
გზაგამარუდებულ ადამიანს გზა გაასწავლე,  
ეცადე იგრძნოს სურნელება მან გაზაფხულის.

მე ხომ არ გირჩევ, შენ წუთითაც მოჰკიდო ხელი  
სისაძაგლეში, სიმრუდეში ასჯერ მხილებულს,  
კეთილშობილებს საამაყო შერჩეს სახელი,  
გაუთბე გული ადამიანს წაფორხილებულს.




## წყალუი გადაყრილი ქონება

ერთხელ, არ მახსოვს, რომელიღაც ეურნალში  
თუ წიგნში, ასეთი ამბავი წაგიკითხე: სამმარტვე-  
ლომ უფროსი ქარხანას ესტუმრა. ქარხნის დირექ-  
ტორი ადგილზე არ დაუხვდა, თურმე სადღაც საქ-  
მეზე იყო წასული. სამმარტველოს უფროსმა გულ-  
დასმით დაათვალიერა სამმარტველიც და ქარხნის  
ეზოც. ათას ხარახურასთან და ჭართთან ერთად  
ეზოში ეყარა მანქანის ნაწილები, რაღაც დეტალე-  
ბი, რომლებიც ოდნავი შეკეთების თუ მტკრის გა-  
დაწმენდის შემდეგ ისევ ვარგისი იქნებოდა და  
ცხრა მთას იქით წასვლა აღარ გახდებოდა საქირო  
მათ საძებნელად და შესაძენად. მეორე დღეს, დი-  
რექტორი რომ დაბრუნდა, უფროსმა იგი თავის კა-  
ბინეტში გამოიძახა.

დირექტორი მაშინვე ეახლა, მაგრამ შეალო უფ-  
როსის კაბინეტის კარი და... ფეხი ვერ გადადგა  
წინ. სამმარტველოს უფროსი საწერ მაგიდასთან  
იჯდა, მაგრამ მასთან მისასვლელი გზა მთლიანად  
მოფენილი იყო სამანეთიანებით. ფულს აბა ფეხს  
ხომ ვერ დააბიჯებდა! გაოცებული იდგა კართან  
და აღარ იცოდა რა ექნა!

— შემოდი, შე კაცო, ნუ გერიდება, — გასძახა  
უფროსმა, — შენ იქ, შენი ქარხნის ეზოში და სამ-  
მარტველში ასმანეთიანები გაქვს გადაყრილი და უო-  
ველდღე ისე დადისარ ზედ, არც დახედავ ხოლმე.  
აქ რაღათ გაგიკვირდა?!

დასასრული მე-18 გვერდზე



რა საცოდავი ვიყავი გუშინ,  
რა მოშხამული გულის პატრონი...  
აყვავებული რომ ვნახე ნუში  
ამ გაზაფხულის მეფე ბატონი.

ირგვლივ გაძარცვულ ხეების რკალი  
და უყვავილო ტოტების რხევა.  
ამეკვიატა ფიქრი საწყალი,  
თითქოს მეც ერთი შიშველი ხე ვარ.

თენდება, ვეძებ თავშესაქცევარს,  
ბოლოუჩინარ ლოდინმა მძლია.  
ეგრძნობ ერთადერთი მშველის გაქცევას,  
აქ გაჩერება არ შემიძლია.

ჩემი პატარა ლამაზი ბაღი,  
ჩემი გამართობი და მეგობარი,  
მარტოა ახლა, უჩემოდ დარჩა,  
ნაფერები და ნაოცნებარი.

წუხელის აღბათ, მზით გააღულეებს  
ცამ არ მოაკლო მადლი ცვარისა,  
ყვავილი ბარდში მიმომადლული  
ანათებს როგორც შუქი ცვარისა.

იქ მინდა ვიყო, ვიყო და მათი  
ლერწებიტა და ფერით ვიხარო,  
ბალახ-ბულახი თუ კი ტაატი  
ხარობს... მოვთხარო, მზეზე მივეყარო...

მე კი აქა ვარ, მით ვერ ვისვენებ  
ღილით ვინმეს რომ საღამო მივცე.  
ცრემლი წამწამებს თუ არ მისვლელებს,  
გულდაწყვეტილი გავცქერი სივრცეს.

ოქრომჭედლობის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ ძვირფასი თვლე-  
ბით მოოჭვილი ოქროს საყურეები. გავარსითა და ნატიფი ცვარულებით  
შემკული, ლალისა და მარგალიტის თვლებით დამშვენებული საყურეები ფორ-  
მებითა და შესრულების ტექნიკით ერთფეროვანსაგან საგრძნობლად განსხვავდ-  
ებიან. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი ემორჩილება საიუველირო ხელოვ-  
ნების მხატვრულ სტილს, რომელიც მხოლოდ გვიანანტიკური ხანის ქარ-  
თი ოქრომჭედლობისათვის არის დამახასიათებელი. თავის მხრივ კი ხელოვ-  
ნების ეს დარგი სათავეებს შორეულ წარსულში იღებს. მეცნიერები ფიქ-  
რობენ, რომ ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშები მსგავსებას პოუ-  
ლობენ დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის საიუველირო ნაწარმთან,  
რომელსაც ქერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნა-  
ხევარში ქმნიდნენ სამხრეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ქართველი  
ტომები.

საიუველირო ნაწარმის გარდა მოდინახზე აღმოჩნდა სამეურნეო დანიშ-  
ნულების რკინისა და ვერცხლის ნივთები. საბრძოლო იარაღები: ისრისპირე-  
ბი, მძიმე წონის შუბების პირები, სატყვრები და ხმლები. აქვე არის მოპო-  
ვებული მუსიკალური საკრავები, შესანიშნავად ნახელავი სამეურნეო ნაწარ-  
მი და სხვა.

როგორც კულტურის, ასევე სოციალური ისტორიის შესასწავლად განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთ მდიდრულ სამარხს, სადაც აღმოჩნდა გემ-  
მიანი თვლით შემკული ოქროს ბეჭედი, ოქროს მონეტები, აზინდებით გაწ-  
ყობილი და პატოსანნი თვლებით შემკული ბაჭადლო ოქროს ბაღთები, ვერ-  
ცხლის თასი, ვერცხლის სურა, ოთხი ცალი ვერცხლის კოჭსაფარი. საფლავ-  
ში იდო ოქროთი გაწყობილი დანა და ფოლადის სატევარი. მის ქარქაშს ამ-  
შვენებდა ოქროს გარსაკრავები, ქარქაშის ბუდის ბოლო ბაჭადლო ოქროსაგან  
არის გაკეთებული. სატევრის ვადა ოქროს ფირფიტით ყოფილა შემოსაღტუ-  
ლი. ეს ნივთები მის მფლობელს „მეფურ“ იერს აძლევდნ და სრულიად აშ-

კარად მიუთითებენ, რომ ამ კაცის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძველი არგვეთის  
გამგებელ-ერისთავე წრიდან გამოსულ დიდებულთან.

სამარხებში მოპოვებული ოქროს ექვსი მონეტა ძირითადად 880-880 წლე-  
ბით თარიღდება; ეს ის დრო არის, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარ-  
წმუნოებად გამოცხადდა და ქართლის უზენაესი ხელისუფლება შეეცადა ამ  
რელიგიის დროშის ქვეშ მოეხდინა ქვეყნის ცენტრალიზაცია. რელიგიური გა-  
დატრიალება, რომელიც დეკავშირებული იყო დიდ პოლიტიკურ-სოციალურ  
ძვრებთან, რამდენადმე ასახულია გვიანანტიკური ხანის მოდინახის სამაროვ-  
ნებში. აქ მამაკაცები დაკრძალულნი არიან ქრისტიანული წესის მიხედვით,  
გულაღმა, მკერდზე ხელდაუდობილნი, ხოლო ქალები და ბავშვები მოკრუნ-  
ჩხულები წვანან მარჯვენა გვერდზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მფვის ან  
ერისთავის სამსახურში შესული და მათი ქვეშევრდომნი მამაკაცი „აზნაუ-  
რები“ მოქცეულნი არიან ქრისტიანებად, ხოლო მათი სახლეული ჭერ ისევ  
წარმართებად რჩებიან და უძველესი წესის მიხედვით იმარხებიან.


მოდინახის ციხის კოშკებიდან კარგად მოჩანს რაჭა-იმერეთის ქედის ფერ-  
დობზე აღმართული დიდებული სკახლები. ეს სასახლები წერეთლიანთ სა-  
თავადოს უკანასკნელ ფეოდალებს ეკუთვნოდათ. ამ ფაქტს გარკვეული მნიშ-  
ვნელობა აქვს ძველი ისტორიის მკვლევარისათვის. როგორც ჩანს, ქართლის  
სამეფოში შემავალი არგვეთის საერისთავოს ცენტრი ახალი წელთაღრიცხვის  
დასაწყისში ყვირილის მარჯვენა ნაპირზე იწველებს და ამ კუთხის გამგებელ-  
თა რწიდეწცია ისე, როგორც ნეკროპოლი, სამკენელია დღევანდელ ქალაქ  
საჩხერის ტერიტორიაზე. სრულიად აშკარაა, რომ აქ მიწა საუკუნეთა ფერ-  
ფლის ქვეშ საქართველოს ისტორიის მრავალ საიდუმლოს ინახავს.

### ჯუშხა ნადირაძე,

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის  
წინაფეოდალური ხანის კულტურისა  
და ხელოვნების განყოფილების გამგე.  
ექსპედიციის ხელმძღვანელი.

კომპოზიტორი ანდრია  
ბალანჩივაძე კონცერტზე

ფოტო დ. კახურაშვილისა



მევიღონე ლიანა ისაკაძე




აკაკი წერეთლის შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან.

ძმატყარმა ტარიელ ბარდაძემ შექმნა კარ თველი მწერლების პორტრეტების მთელი სერია. ვაჭვეუნებთ ჩამდენიმე პორტრეტს ამ სერიოდან.


ტარიელ ბარდაძე, პორტრეტის გარდა ფერწერის სხვა ეანრებსაც ღიდ უკრადლე პას უფშობს; ოგი ავტორია მრავალი სერია თისა, რომლებშუც ასახულია ჩვენი წარსულის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

მირზა გელოვანი.




გალაკტიონ ტაბიძე.

სანდრო შანშიაშვილი.




ბუნების წილში.



ღიადი საქმე.

## ტარიელ ბარდაძე


ალექსანდრე აბაშელი.




პაოლო იაშვილი.



რევაზ მარგიაი.



ალექსანდრე გომიშვილი.





ჩემი გაკვეთილი.



ფოტო დ. კახურაშვილისა

საქართველოს ტურისტულ გზებზე



პატარა ზვიადს

კოეტი

კამოენსის ხსოვნას

ვინც შესძლო გზების გაგნება, სიტყვით დათრგუნა ბნელეთი, — მას დაულოცა განგებამ მათი, ზღვა და ხმელეთი.

ქვეყანა მის წინ გაიყო — არ შეხვდა კუთხე-კუნძული... კუნძულზე სახლი აიგო, და ჩაიძირა კუნძული.

მთის ძირას ქოხი აიგო — ზვავმა წაღვეა, წაიღო; მწვერვალზე მიწა დაბარა — ეულკანმა ფერფლით დაფარა.

მაგრამ ქონება — ნისლია, რას აღწევს მისი შენახვით? ციდან ქვესკნელში ისვრიან პოეტს ღირსების შეღახვით! — ქვეყნიერება მისია, და ღარიბ-ღატაკს ვეძახით!

მთა და ენგური

მთა ჩივის: „მიდის ენგური, მშობელს არა მთვლის არადო! დატოვა დედა ერთგული, ჩავა და ჩავა ბარადო!“

„შენი ვარ, — შხუის ენგური, — მთაო, ყველგან და მარადო, შენი თაღისმით შეკრული გულის ძარღვების დარადო.

ყველგან ვარ, შენი ასული, ნისლებს ნუ იხვევ ნაღვლითა! ნუ შიშობ: დაბლა წასული დაგებრუნდები მაღლიდან“.

სვანეთის მთები გვიყვარდა, სამანი ცისა და მიწის, ციციანთელას ციალი, გაფრენა შავი ტაიქის; მწვანე შგენაშის ჭიუხნი (სამყოფელია ჩიხვთაო!), და მზისკენ მისწრაფებაში შეთეთრებული ჭიხ-თაუ; ცაში არწივის ნავარდი, ცად ატყორცნილი ფიჭვები, ვერხვის „სახლებში“ ოქროსფრად ჩარიგებული ფიჭვები; სუფთა, მსუბუქი ფრინველი, შორით მომტანი თაფლისა, ჭერ ცისა მოსამსახურე, მერე უოველი კაცისა; სვანეთის ზესხი გვიყვარდა, ცად აშოლტილი ტოტებით... ამ სიყვარულით ვიზარდეთ, ამ სიყვარულით მოვკვდებით!

ჩემი თეთრი მწვერვალები

ჩემი თეთრი მწვერვალები, თეთრი ედელგასისი, ჩემი მთების ეღვარება, ჩემი თეთრი დაისი; ჩემი ცივი მუავე წყალი, ჩემი თბილი მაისი, ცხელი დღე და ღამე წყნარი, ცეცხლისფერი აისი; საქართველოს ძველი ბურჯი და სიმტკიცის კედელი, მტრების რისხვა, ბედის ურჩი, თავის ბედის მჭედელი; დალოცვილი მთა და ბარი, ცის და მიწის სამანი, ციურ ტაძრის თანაბარი მიწიერი სავანე; საქართველოს ძველი ბურჯი და სიმტკიცის კედელი, მტრების რისხვა, ბედის ურჩი, თავის ბედის მჭედელი, — განა ბედზე მინდობილი! — არის მხარე ასეთი: მზე-თამარის წილხვდომილი, უბატონო სვანეთი!

იძინე, ჩემო პატარავ, ტბილად და გულდამშვიდებით! გესიზმროს თეთრი შროშნები და მგალობელი ჩიტები.

შენს გავრდას, დავაუკაცებას მოეღოს გულის ფანცქალით, უშბის თავზე რომ ციმციმებს სამშობლოს ბედის ვარსკვლავი.

ის გაგიძვება გზაზედა, არ გაიკარო ნაღველი! მის სიმაღლეზე აზიდე მშობელი ქვეყნის სახელი.

გელიან სოფლად, ქალაქად, მთაში თუ მინდორ-ველად... შენს ძილს მამული დარაჯობს — იძინე უშრუწველად!

მწვერვალიდან

ულრანი ტყეები, ზღაპრული დუმილი, ურღვევი ბჭეები, ჩქერალის შხუილი;

ღრმა ხევში ტყვენილი, მდინარის რიალი, ციურ შუქფენილი ფოთლების შრიალი;

საგმირო იერის სამკვადრო არწივთა, სავანე სიმღერის და წმინდა ნაწილთა;

ბილიკნი ცისანი, მოსილნი მწვანეთი... შენ უკვე იცანი; ეს არის სვანეთი!

(დასასრული)

ღირექტორი ჭკვიანი ცაცი იყო და უშალ მიხვდა ამ ნართაულ სიტყვას. დარცხენილი გამობრუნდა უკან, დაათვალიერა თავისი ქარხნის ეზო და მერე ცოტა ხნით ჩაიკეტა თავის კაბინეტში. ათიოდე წუთის შემდეგ საამქროების უფროსები გამოიძახა. მოვიდნენ ისინიც, მაგრამ კაბინეტში ვერ შევიდნენ — მთელი იატაკი მანეთიანებით იყო მოფენილი.

— შემოდით, ნუ გერიდებათ! — გასძახა მათ ღირექტორმა, — თქვენს საამქროებში და ეზოში როცდახუთმანეთიანი კუბიურები გაქვთ გადაყრილი და ზედაც არ უყურებთ. აქ რათ დირცხვინეთ?

საამქროების უფროსებიც ჭკვიანი ხალხი იყო. უშალ მიხვდნენ რის თქმა უნდოდა ღირექტორს, დარცხენილები გამობრუნდნენ უკან და დიკაპიწეს ხელუბი... ამ გზით ქარხანამ დიდძალი მოგება მიიღო...

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ხშირად გვაეიწყლება, რომ მეურნეობაში მთავარი ყაირათიანობა და მომჭირნაობაა.

უნდა გაუფრთხილდე ყველაფერს, რაც ფული ღირს, რაშიც შრომა დახარჯული, რაც შეიძლება კოდვე გამოდგეს — ეს ხომ უბრალო ამბავია, მაგრამ ზოგეუროს ხშირად ავიწყდება.

საქართველოში ყოველწლიურად 800 ათას ტონაზე მეტი ხილ-ბოსტნეული მუშავდება, რომელიც ათეულ ათასობით ტონა ნარჩენებს სტოვებს. რესპუბლიკის საწარმოები ამ ნარჩენების მინიმალურ რაოდენობასაც კი ვერ იყენებენ და ეს აუარებელი მეორადი პროდუქტია უქმად იკარგება, წყალში იყრება.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, აი რას წარმოადგენს ეს ნარჩენები:

ხილის დაწურვის შედეგად დარჩენილი ჩენჩო და თესლ-კურკა მთელი პროდუქციის 50 პროცენტს შეადგენს, ჭაჭა — 15 პროცენტს, პამიდორის თესლი — 5 პროცენტს, ვაშლისა და მსხლის დაკონსერვების ნარჩენები (ნათალ-ნაგული) — 35 პროცენტს.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კარგ მეურნეს შეუძლია მთელი ეს ე. წ. მეორადი პროდუქტია რაციონალურად გამოიყენოს. მიუხედავად ამისა,

მთელ რიგ საკონსერვო ქარხნებში ხშირად ამ ძვირფას ნარჩენებს გადაყრილად უჩვენებენ.

რატომ არ შეიძლება ჩენჩოს, კურკის, ვაშლის ან მსხლის ნათლის და სხვა ნარჩენების გაშრობა, დაფქვა და ცხოველთა საკვებში ერთ-ერთ კომპონენტად შერევა. ანდა პირდაპირ ღორების საკვებად გამოყენება; რაც შეეხება პამიდორის თესლს, — იგი საუკეთესო საკვები იქნება ფრინველების გასაზრდელად.

რამდენჯერ გვინახავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ საბჭოთა მეურნეობის ღირექტორი, გამწარებული რომ დაეძვებს საკვებს ღორისა და ფრინველისათვის, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ფრინველს ნაწვერალზე ველარ გაიყვან ჩაბნეული მარცვლის ასაკენკად.

მაშ რატომ უნდა ვყრიდეთ წყალში ამ ქონებას? საჭიროა დაუფიქრდეთ ამას და სათანადო დასკვნები გამოიტანოთ.

ზ. ფსოველიოვილი  
ზოოტექნიკოსი

# ი ე ლ ი ლ ი თ

ორიოდ წელია, რაც თითქმის ყოველ ცინმარე დილით, ინათებს თუ არა, გავდივარ დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. მე იქ გავიცანი დილის გამამხნეველები გასერიანების რამდენიმე მოყვარული, მათ შორის ერთი ხანდაწმული, ოთხმოც წელს გადაცილებული პროფესორი მედიცინის დარგისა, ქარმაგი, ხალისიანი და ენაწველიანი კაცი. ბევრი რამ ახსოვს მას ამ მიდამოების წარსულიდან. გატაცებულია ისტორიითაც და ლიტერატურითაც. როგორც ჩანს, თავისთვის თვითონაც სცოდნავს მკონსობაში.

— სულ რამდენიმე წელია, — თქვა მან იმ დილით, — რაც თბილისში იწებოდა მთაწმინდის მთისძირის ამ ლამაზი და ჭავარიანი მონაკვეთისათვის მიეცა დავით აღმაშენებლის სახელი. ეს კარგი და ჩაღრმავებული გადაწყვეტილებაა, აზრიანი განხედვაც არის, განხედვა არა მარტო წარსულისაკენ, არამედ მომავლისაკენაც.

ამ ქუჩას, მართლაც, შესანიშნავი გადასახედი თუ თვალმოხაველები აქვს. თითქმის მთელი ქალაქის პანორამა გეშვდებათ თვალწინ. ქუჩა კი არა, ჭრჭრეობით ეს უმაღლ ფართო, მიხვეულ-მოხვეული, მოასფალტებული გზა ქონქაძის ქუჩის გასათავიდან (უკეთ ვთქვათ, მამადავითისაკენ) აშავალ მთაწმინდის ქუჩიდან) მაყაშვილის ქუჩის ზემო კუნძულამდე. ერთი კილომეტრი თუ იქნება. მთაწმინდის მხრიდან მას ტყიან-ბუჩქნარიანი და ალაგ-ალაგ კლდოვანი მთისკალთები ეკვრის. ქალაქის მხრიდან კი — მეტწილად ჩახრამული კბოდეები. ამბობენ, ეს მონაკვეთი თბილისის მომავალი ირგვლივი გზის ერთი ნაწილი იქნებაო.

დაიხაზა, კარგი სამშენებლო ჩანაფიქრის ხორც-შესხმა იქნება, რომ ეს საყრდენი მონაკვეთი მართლაც გაიზარდოს, გაიჭყორცნოს და დავითის დონიერი მკლავებივით მოეხვიოს ჩვენს თბილის-ქალაქს. დიდებული სიმბოლური რკალიც შეიკვრება, რაც დიდად დაამშვენებს და დიდ სამსახურსაც გაუწევს ქალაქს.

...შესაძლოა, ვინმემ, ერთგვარ ცრურწმენას აყოლილმა, კიდევაც იმწუთხოს მეფის მკლავების ეს მოხვევა, თუნდაც როგორც უბრალო მეტაფორა. მაგრამ უიქვევლად დიდი სულიერი სიბედე იქნება, თუ დავიფიქრებთ, რომ მთავარია დეწლი და

არა ტიტული. ისტორიული დეწლი კი დავით აღმაშენებლისა, ფრად პროგრესული თავის დროისათვის, უბრწუნვალესი და უდიდესია.

ამას ასაბუთებს და ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ყველა მატარე და ყველა მემატარე.

ჩვენ კი გავყვეთ ფიქრებს, გავყვეთ გრძნობებს! მით უმეტეს, რომ როცა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გადაიხარო, ძნელად თუ შესძლებთ გულგრილად მოავლოთ თვალი საყვარელ ქალაქს. აქ თბილისი ათასწიერ ფიქრებს შემოგაკევთ. მართალია, ამ ქუჩის სხვადასხვა წერტილიდან, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სულიერი განწყობილების ვითარებაში თბილისი, ალბათ, სხვადასხვანაირად იკითხება, მაგრამ ერთი ძირითადი აზრი მაინც სადღაც მკაფიოდ გამოიხატება; თუ თბილისი თავისი ისტორიის გრძნობას დაჰქარავს, იგი ვეღარც ითბილისებს...

იმ დილით დავით აღმაშენებლის ქუჩის ერთი ადგილიდან გავყურებდი ქალაქს. თვალს იტაცებდა ძველი და ახალი შენობების, ქუჩების, მოედნების, ახალი უბნების, ბაღების, სანაპიროების, ხიდების, მტკვრის მიკლანდო-მოკლანდო ტანისა და თვით მთელი ქალაქის აბორცვილ-დაბორცვილი ნაკვეთების შესანიშნავი სანახაობა. მაგრამ უმაღლესი გავიფიქრე: დე, მთელი ეს ნივთიერი გარემო მხატვრის ფუნქცია ამტყველოს...

მე კი ჩემებურად დავინახე იმ დილით თბილისი, დავინახე როგორც საოცრად ჩახლართულ-ჩაკვანძული ცოცხალი ქსოვილი უამრავი ბედისა. იგი ხომ მართლაც ნაქსოვი თუ ნაკეთებია მრავალი გარდასული თუ დღევანდელი თაობის ადამიანთა თავგადასავლებით, ბედითა თუ უბედობით, იმედითა და უიმედობით, სიკეთითა თუ ბოროტებით, სიყვარულითა თუ სიძულვილით, სიხარულითა თუ მწუხარებით, დიდი ვნებებითა თუ შემაზარეული ბიწიერებით, ვუყავობითა თუ ლაჩრული სულმდაბლობით; ბევრი ძველი თუ ახალი დრამით, ტრაგედიათ, კომედიათ თუ ფარსით, დიდი თუ მცირე ისტორიული კატასტროფებით, მარცხებითა თუ ძლევამოსილი გამარჯვებებით. ყოველივე ამას გაუვლია მის არსებაში, უდენია მის ძარღვებში. ყოველი მისი შვილისა და მოკეთის, მტრისა და მოყვრის ბედი მის მცირე თუ დიდ ბედად

გადაქვეყნდა, მის პატარა თუ მთავარ ნერვად წარმოქმნილა.

და მე ვხედავ, მე ვგრძნობ, მე ვიცი, რომ თბილისი მისი ისტორიული ყოფიერების ცოცხალი ნერვების ქსელია. ვიცი, რომ ამ ქსელის ერთი პატარა ძაფი მეცა ვარ. ალბათ, ამიტომაც ის ტივილი თუ სიამე, რომელსაც თბილისის რომელიმე ძველსა თუ ახალ უბანში ახლა განიცდის ან ოდესღაც განიცდიდა ამ ქსელის რომელიმე სხვა ძაფი, მეც უნდა გამომოქცეს... მით უმეტეს, თუ მე მართლაც სულითა და გულით ჩართული ვარ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის სასიცოცხლო ნერვების ქსელში, არ შეიძლება რაღაცნაირად არ გამომოქცეს მისი მთავარი ნერვების თრთოლვა.

დავით აღმაშენებელი კი, რასაკვირველია, თბილისის, მთელი საქართველოს ისტორიული ყოფიერების ერთ-ერთი მთავარი ნერვია. მერე რა, რომ იგი თითქმის ცხრა საუკუნის წინათ იყო...

იცით, რა მითხრა იმ დღეს ჩემმა ნაცნობმა პროფესორმა?

— ნურც გაგიკვირდებთ და ნურც მისტიკურ მოჩვენებად ჩამომართმევთ... როცა ძალიან ადრე, თითქმის დილაბნელზე გამოვდივარ აქ და ქალაქიდანაც არავითარი ხმაური არ მოდის, ზოგჯერ, აი, ამ ადგილას რომ შეგჩერდები, ყურში ჩამესმის დიდებული გუგუნე, გულისშემძვრელი გალობა... და მგონია, რომ ეს არის „გალობანი სინანულიანი“ დავითისა...

— არც მიკვირს და არც მისტიკა მგონია. — ვუთხარი მე, — მაგრამ მაინც საიდან გესმით? ამ ეკლესიიდან გესმით?

— როგორ გეკადრებათ, — იწყინა მან. — ეგ ხომ ცინიზმა მგავს... ეს ეკლესია დიდმპყრობელი მეფის ნაცვლის დროს არის აგებული... ის გალობანი კი, მე ასე ვგრძნობ, მე ასე განვიცდი, პირდაპირ თბილისის სიღრმიდან, თბილისის გულიდან ამოდის!

— ო, ეს კარგია, ლამაზია! მაშასადამე, გალობა თქვენს სულში, თქვენს ფიქრებში იხადება...

ამ დროს უტყრად თითქოს მეც მომესმა გალობა; თითქოს თბილისის ყველა ნერვ ერთბაშად ატოკდა და მთელი თბილისი შემოემესია თავისი წარსულით. აწმყოთი და მომავლით, ყველა თავისი სიხარულითა და წარმატებით, ტკივილითა და ვაი-ვაგლანით.

ეს იყო თბილისთან შედუღებისა და შერწყმის რაღაც უსაშველო გრძნობა. ამ გრძნობამ კი თითქოს ძველ ნატილობებზევით გამახსენა და გამიმძაფრა ერთი საკითხი, რასაც არავითხელ ვუწავლებივარ, საკითხი — დავითისა, როგორც უღრმესი

## მწერლის გზის დასაწყისი

დღევანდელი მკითხველი შალვა დადიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საკმაოდ კარგად იცნობს; ჩვენი დროის ეს შესანიშნავი მწერალი ასევე დიდად პოპულარულია როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც მსახიობი და რეჟისორი, თეატრალური დასების ორგანიზატორი, ქართული თეატრის დიდი მოამაგე. აქ თითქოს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ასევე ცნობილი არ არის მისი მოღვაწეობის პირველი წლები. ამ ხარვეზს ავსებს შოთა გაგოშიძის წიგნი: „შალვა დადიანის აღრინდელი ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა“, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა; ეს წიგნი შეიცავს ფართო მკითხველისათვის დღემდე უცნობ საინტერესო მასალებს დადიანის ჰაბუკობისდროინდელი ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობის შესასწავლად. წიგნი განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ყოველთვიური ხელნაწერი ქურნალის „მოზარდის“ მიმობილვა.

ამ ხელნაწერ ქურნალს პირველად პროფ. გიორ-

გი. ციციშვილი შეეხო თავის წიგნში „შალვა დადიანის დრამატურგია“. მწერლის შემოქმედების გარჩევა მან სამარტლიანად სწორედ „მოზარდის“ მასალების ანალიზით დაიწყო.

ქურნალ „მოზარდის“ გამოცემა შალვა დადიანმა დაიწყო 1888 წელს, სოფელ ბერთეშში, თავისი მამის სახლში. ეს ქურნალი ოთხ წელს გამოდიოდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი მაშინ 14 წლის ყმაწვილი იყო.

ქურნალში მოთავსებული მასალებიდან თვითონ შალვას ეკუთვნოდა მოწინავე წერილები, ფელეტონები, პატარა-პატარა მოთხრობები, დრამატული სცენები, ლექსები. ამას გარდა, ქურნალში მონაწილეობდნენ ლაზარე რატიანი და გრიგოლ ბოკუჩავა, შალვას მამის — ნიკო დადიანის ახლო მეგობრები. ნიკო დადიანმა, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, რასაკვირველია, იცოდა ქურნალის არსებობის ამბავი, მაგრამ შვილმა ვერ შებედა ეთხოვა მისთვის თანამშრომლობა, მხოლოდ მისდა ნებადაურთველად მაინც მოათავსა ქურნალ-

ში ნიკოს მიერ თარგმნილი გუსტავ ფლობერის „იროლიდა“.

90-იან წლებში, შინაურებს გარდა ქურნალში თანამშრომლობდნენ ახალგაზრდა მიხა ცხაკაია, — შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი პოეტი-ბელეტრისტი დეტუ მეგრელი, ადგილობრივი მოწინავე პედაგოგები — ლადო გაგუა, ივანე ცხაკაია, გრიგოლ ფაღავა და სევერიანე კორშია. ეს ქურნალი იყო დასაწყისი შ. დადიანის სამწერლო გზისა და სულ შალვ მან „იერიოს“ რედაქციას გაუგზავნა თავისი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“.

შალვა დადიანის ხელნაწერ ქურნალს „მოზარდის“, როგორც ამას შ. გაგოშიძე აღნიშნავს, ფართო პროგრამა ჰქონდა, ეხებოდა სოფლისა და ქალაქის ცხოვრების საკირობოროტო საკითხებს. ამ ქურნალს, — წერს შ. გაგოშიძე, — არცერთი მოვლენა არ ეპარებოდა ფხიზელი მხედველობიდან. ასე მაგალითად, ქურნალი გამოეხმაურა ლიმიტრი ყიფიანის ცერაული მკვლელობის ამბავს.

მოწინავე წერილში ნათქვამი იყო, რომ ქურნალი არ შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ განა შალვა დადიანს შეეძლო გვერდი აეგვლო ამ სვე-

ტრაგიკული პიროვნებისა, როგორც უდიდესი ადამიანისა.

გან- არ გვიჭირათ: კაცს, ვისი გონივრული მეთაურობითაც ქართველმა მეომრებმა, მხენელ-მთესველებმა, მწყემსებმა, მებრძობმა, ხურობმა, ქვის-მთელელებმა, დურგლებმა, მჭედლებმა, მწიგნობრებმა ოთხასწლიანი ტყვეობიდან გამოიხსნეს თბილისი და მრავალი გზა, ხიდი, ეკლესია, მონასტერი, ციხე-სიმაგრე, ქალაქი და აკადემია აღაშენეს, რა მქონდა სანანებელი, ან კიდევ მეტი, — რა ისე მძიმე ცოდვა ედო, რომ თავისი გული სამარადეთამო სათელად და საბეკნად დაუტოვა ქვეყანას, შთამომავლობას?

რა მწუხარება, რა ტვივილი იმალება ამ საოცარ თვითუარყოფასა თუ თავგამეტებაში? ვინ იცის, იქნებ ამდაგვარი ტვივილი მეტ-ნაკლებად ქვეყნის ყველა კეთილშობილი და დიდბუნებოვანი მესვეურის ხვედრი იყოს!

ღარიბ-ღატაკთა და ჭვრევ-ობოლთა გამკითხავი, მტერთა შემმუსრავი, კაცთმოყვარე და რჯულთამთმენი იქნებ ცოდვად იმას მიითვლიდა, რომ მეტად უღმობელი და დაუნდობელი იყო ქვეყნის ერთობის დაშლად, ქვეყნის წამხდენთა, მოღალატეთა და ორგულთა მიმართ? — შესაძლოა.

იმ დილით ფიჭრი განსაუბრებულნი გულმოდგინებით გავადევნე მწვანელებელ საქათსს.

გავიხსენე ზოგიერთი ნაწყვეტი „გალობანი სინანულისანისა“:

„...ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივყიდე თავი, რამეთუ რომლისგანაც ვინ ძლეულ არს, მისდაცა დამონებულ არს“.

„...მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ლუართაჲ“.

„სოლომონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერ მამღარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძებდ დასაპყრობელად, და ღმრთის საზღვართა ვაბრალოდ, ვითარცა მცირეთა მათ და უნდოთა, — ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქულისა.“

ბოროტად გარდავხედ საზღვართა, შევპრთე სახლი სახლსა, აგარაკი აგარაკსა, და უძღლურესთა მივმხუტე ნაწილი მათი, და ვიღუწოდ ყოვლად უმეზობლობასა, ვითარცა მართლ ვმკვიდრობდი ქუეყანასა ზედა“.

„ვეცხლი ვითარცა მიწაჲ, და ოქრო ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ და თაყუანის-ვეც ანაგარებისა მამონას, ვითარ იგი ძლეულთა მათ — ბაჲსს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.“

სიტყვაჲ წმინდაჲ და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქვნელთა ძმაცული სივერაგე ვითენ, და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახ-

ვანი, და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი“.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ნუთუ ეს მართლაც საოცარი თვითმხილბაა? არა, არსებითად ეს არის თვითმხილბის სამოსელში გახვეული თავგამეტება ანუ თვითუარყოფა, მაგრამ თვითუარყოფა არა იმისათვის რომ თავისი პიროვნება, თავისი ადამიანური არსება წარხოცოს, არამედ იმისათვის, რომ უმაღლეს ზნეობრივ მთლიანობასა და პიროვნულობაში გაცხადდეს. მაინც რა არის „გალობანი სინანულისანი“?

გულახდილად უნდა მოგახსენოთ: რა დიდი ავტორიტეტებიც უნდა ცდილობდნენ გაიგონ ეს ნაწარმოები პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. მიიჩნიონ იგი დავითის თვითმხილბედ, ანუ მისი ცხოვრების ყოველდღიურობის პირდაპირ გამოხატვად, მე მათ მაინც ვერ დაუჭერებ.

„გალობანი სინანულისანი“, უწინარეს ყოვლისა, გარკვეული ზნეობრივ-ფილოსოფიური მიზრთბაა სამყაროსადმი. იგი არსებითად ზნეობრივი შრწამსის გამოხატვაა და არ შეიძლება მისი აღსარებითი გამოთქმები გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, ისე როგორც არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით ანუ თვითმხილბედ გავიგოთ, ჭკუვით, ძველი დროის დიდებული სომეხი პოეტის — ნარეკაციის დაახლოებით ასეთი თქმა, — ჩემი ცოდვები მთელ არარატის მთას გადასწონისო.

„გალობანი სინანულისანი“ თვითუარყოფის ანუ თავგამეტების ღრმა იდეაზე აგებული ნაწარმოებია.

თუ წარმოდგენით პირობითად გავემიჯნებით ამ ნაწარმოების რელიგიურ-ვედრების ფორმას, თავისი დროისათვის ფრიალ ბუნებრივსა და კანონ-ზომიერს, და გონების ღიბრგადაუჭერელი თვალით ჩავიხედავთ მის სიღრმეში, უძველად დავინახავთ დიდბუნებოვანი ადამიანის მსურველ კაცთმოყვარულ გულსა და ამაღლებულ გონებას. ეს გული, ეს გონება ამხილებს და ამ მხილებით მწვეველ ჰგმობს საშინელ ცოდვებს — ბოროტებას, უსამართლობას, მტაცებლობას, მზავრელობას, ანგარებას, სიბილწეს, მრუშობას — ყოველივე იმას, რაც კი იმ დროს შეეძლო ჩაედინათ ეგოცენტრულსა და გაბატონებულ ძალეებს, განუკითხველ მზრძანებელთ. და ყველა ამ ცოდვას აწერს თავის თავს, აწერს არა იმიტომ, რომ თითქოს მართლაც თვითონ იყოს მათი ჩამდენი, არამედ იმიტომ, რომ მეტი ძალა და აზრი, მეტი თვლანათლივობა და სიღრმე მისცეს თვითუარყოფის იდეას, თავგამეტების სულიკვეთებას.

„გალობანი სინანულისანის“ შემოქმედს კარგად ესმის, ღრმად ესმის, რომ ქვეყნის ღირსეულმა მეს-

ვეურმა, ღირსეულმა განმგებელმა საკუთარ ვნებათა და წადილთაგან უნდა უარყოს და დასთმოს ყოველივე, რის დათმობაც და უარყოფაც შესაძლებელია, რათა თავისი ადამიანური სრულყოფისაკენ აიწიოს; ყოველი ვიწრო პიროვნული უნდა გასწიროს, რათა უმაღლეს სულიერ პიროვნულობამდე ამაღლდეს; ყოველივე თავისი, რის გაღებაც კი შეუძლია ადამიანს, ქვეყანას უნდა მისცეს და ქვეყანას უნდა გადააგოს, რათა ქვეყნის დიდ სიცოცხლეს შეუზიარდეს.

ეს იცოდა, ეს სწამდა და სწორედ ამიტომაც გადააგო დავით აღმაშენებელმა თავისი სიცოცხლე სამშობლოს აღორძინებას.

და მხოლოდ ასეთი დეაწლის, ასეთი სულიერი გამოცდილების დიდი გაკვეთილი შეიძლება შეზღვევი ჩამოსხმულიყო უკვდავ აფორიზმად: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ანდერძი კი, ანდერძი დავით აღმაშენებლისა, რომ მის გულზე, მის საფლავზე მუდამ ევლო ხალხს?

ჰო, ესეც იმისათვის, რომ მის ხალხს, მის ქვეყანას სამუდამოდ გადასცემოდა და ხსოვნებოდა თავგამეტებისა თუ თვითუარყოფის დიდი გაკვეთილი. ხოლო თვით მის ნეშტს — სითბო მისი ხალხის სიცოცხლისა...

ასე ვფიქრობ, ასე მჭერა, ასე ვოცნებობ!

განა სულ უცოდველობას ვაწერ? სულ უცოდველ ვით იქნებოდა ცოცხალი კაცი, მით უმეტეს კაცი, ვის ხელშიაც იყო უამრავი უმისა და ქვეშევრდომის ბედი!

შეაგრამ მის სახელს მწიკელი არ დასდო ცოდვამადლის უველაზე დიდმა განმკითხველმა — ხალხმა, ხალხის ხსოვნამ. პირიქით, ჭერ კიდევ მის მახლობელ დროშივე წმინდანადაც კი შერიცხეს.

ჩვენს დროს კი ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა — კონსტანტინე გამსახურდიამ თავის მრავალკარიან მონუმენტურ რომანში შესანიშნავად გაცოცხლა და თანამედროვე მკითხველთა ფართო წრეებს დიდად შეაყვარა დავით აღმაშენებელი თავისი მღელვარე ცხოვრებითა და რთული ბედით, დიდი ისტორიული დეაწილთა და მოქმედებით, სიბრძნითა და მისწრაფებებით, დიდი ვნებებითა და განცდებით, ტანჯვითა და მწუხარებით... დავითის გმირული საქმეები აისახა ლევან გოთუას დრამაში, მურმან ლებანიძის პოემაში და ბევრი სხვა ქართველი მწერლის ქმნილებებში.

იმ დილით მე და ჩემი ნაცნობი თუ უკვე მეგობარი პროფესორი კარგა ხანს ვსაუბრობდით ამ საგანზე.

თანაც თბილისის გულსაც ვუგდებდით ყურს!

როსათვის, მით უმეტეს, რომ მისი მამის — ნიკოს ოჯახში მულად პოლიტიკაზე იყო საუბარი. ამის გამო იყო, რომ ახალგაზრდა შალვა ადრე მიგრეცია საზოგადოებრივ საკითხებზე ჩაფიქრებას. ამას ადასტურებს თუნდაც ახალგაზრდა ავტორის ის წერილი, რომელიც შ. გაგომიძეს თავის წიგნში მოჰყავს: „მე აზრად მაქვს, რომ შევადგინო პატარა წრე, რომელიც შეუდგება სჯას ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის, რისთვისაც ის წევრები, რომელიც ამ წრეში იქნებიან, შემოიტანენ რაიმე ახალ აზრებს და შემდეგ დასკვნის, გადაწყვეტილის აზრს შეიძლება შევხედოთ — იმოქმედებენ“.

შალვა დადიანი არც მაშინდელი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს სტოვებს უყურადღებოდ და თავის ეურნალში ათავსებს წერილს „უსაქმური ახალგაზრდობა“; აქ ლაპარაკია ბანძული ახალგაზრდობის იმ ნაწილზე, რომელიც არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწეოდა. „ერთადერთი, რაც მათ იცინა, — ვეითხულობთ ეურნალში — ეს არის სიმღერა. მღერაან ხან თავის მოვლილ, ხან სხვა კუთხეებიდან შემოტანილ სიმღერებს... იბადებოან, მღერაან, დადიან ხან იქ, ხან აქ, თვრებიან, ჩხუბობენ, თავსაც იფუტებენ და სხეებსაც

აწუხებენ, შემდეგ კვლებიან ისე, რომ რამდენიმე კვირაში მათ სახელს ივიწყებენ“.

ახალგაზრდა მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს ქართული ენის სიწმინდის დაცვას და ეურნალის ფურცლებიდან ებრძვის ყველა იმას, ვინც ჩვენს ენას ამახინჯებს და უდიერად ეპყრობა. ეურნალში გაკრიტიკებულია იმ ხანებში გამოცემული წიგნი „ქართული ენის თვითმასწავლებელი“. ამ წიგნიდან ეურნალში მოყვანილია ასეთი მახინჯი ფრაზები: „საქორთა ქონება მოთმინებისა გარემოებაში“, „ის მიდის წინააღმდეგობად წყლისა“, „იგი იგი-ზედ ხუმრობს“, „იგი გულზედ მოდის ჩემზედ“, „ახლა ჩეთვერია მეხუთისა“ და სხვა. ეურნალმა აქ ცენზორსაც შეუტია, რომელმაც ნება დართო ასეთი წიგნის გამოცემა.


ეურნალში გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენს ლიტერატურაზე. ნიკო ბარათაშვილი“, შალვა დადიანი შესანიშნავად ახასიათებს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ვითარებას, თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში; აქვე იგი კარგად გვიჩვენებს თუ რა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე აღმოცენდა ბარათაშვილის პოეზია. იხილავს რა შ. დადი-

ნის ამ წერილს, წიგნის ავტორი წერს: „რა თავისებური, ორიგინალური აზრი აქვს გატარებული ახალგაზრდა შალვა დადიანს ამ წერილში, რა შესანიშნავი, სხარტი და მახვილგონიერი დახასიათება ეპოქისა, რა დახვეწილი წყაროსავით მორაქრაკე ენა — ღირსი ქართველი ოქრობირების! ვადა-უქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ბევრ მკვლევარს შემურდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შალვა დადიანისეული ინტერპრეტაცია. რამდენი ასეთი მარგალიტებია გაბნეული ხელნაწერ ეურნალ „მოზარდში“.“

შოთა გაგომიძის წიგნი ნათლად წარმოგვიდგენს შალვა დადიანის ცხოვრებისა და სალიტერატურო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის აქამდე ნაკლებად ცნობილ აღრინდელ პერიოდს. როგორც ამ წიგნის მკითხველი დაინახავს, ეს დიდად საინტერესო წლები იყო ახალგაზრდა მწერლისათვის, რომელიც თავისი ხალხის სამსახურისათვის, ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა.

# ფიროსმანის გახსენება

მოთხრობა



შალვა მქვია... გვარი შენცა გცოდნია. კახეთიდან რომ თბილისში ჩამოვედი. ბიძაჩემმა ღვანის საწყობში წამოიქვანა ერთი ღვინო... ახლა რომ კულ მეურნეთა მოედანს ეძახიან. მაგის ქვემოთ მტკვრის მხარეზე ბაზარი იყო და იმ ბაზართან-ფარდულები. სწორედ იმ ფარდულებს გვერდით ჰქონდათ ღვინოს საწყობი ბიძაჩემსა და ვასო ჭანაშვილს. ჰოდა, ბიძაჩემმა საწყობში რომ მიმი-ქვანა და მიკითხნესა და მეღვინეებს ჩემი თავი გააცნო. იმთ გაუხარდათ:

— ბიჭო, მართლა მირჩაინიდან ხარ. ნიკალა გეცნობება?

— ვინ ნიკალა-მეთქი?

— როგორ ნიკალას ვერ იცნობ. ნიკო ფიროსმანს? ერთი ქიქა არაქს დაღვეს და ისე გადაგხატავს. ეზადღებული დარჩები. იქნება დაელაპარაკო კიდევ შენს სურათს... ვადი ემაგრე... როგორც კი დაინახავ. მაშინვე იცნობ. პირხმელი კაცია, შალვა. პატარა წვერს ატარებს. ხელში კი ქოჩი ეჭირება.

ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და ქელუქაობა დავიწყე. იქნება მართლა დავინახო სადმე-მეთქი. როგორც იმ მიკითხნა მანიშნა. მაშინვე ვიცნობდი.

ერთი ჩასუქებული შავ-შავი კაცი იდგა მეზობელი ღვინის წინ და შევეკითხე — ნიკა ფიროსმანი ხომ არ დავინახავს-მეთქი

— რომელი ფიროსმანი? მხატვარი? არ ვიცოდი. რა უნდა მეთქვა.

— თუ იმას მეკითხები, ასე ბაზრისაკენ წავიდა... ჰა, რას გაჩუმდი?.. მარჯვენა მარჯვსო, იმან უნდა დაიკვებოს. აეს ამოდენა ლურჯი ზეცა სულ ტილოზე აქვს გადახატული. მშვიერიც რომ იყოს. მაინცა ხატავს. ეს ღუქნებიც და ის ღუქნებიც სულ იმის მოხატულია, არც ფული უნდა და არც არაფერი... ჰა, რას გაჩუმდი, იმასა კითხულობ?.. ჰოო?... აბა, მაშინ ჭერ პირდაპირ ჩაიარე ღუქნების წინ. მერე ესე გაბრუნდი და მერე — ისე.

შორიხლოს ვიღაცა კაცი შევნიშნე. ქერა წვერი ჰქონდა. ახლა იმას შევეკითხე. ფიროსმანი ხომ არ დავინახავს-მეთქი. ის კაცი დაფიქრდა. თითქოს რაღაცა უნდა გაეხსენებინა.

მე ვუთხარი, მხატვარი ნიკალა რომ არის-მეთქი.

— ვიცო. ეს-ეს არის ჩვენს ღუქანში იყო და ბაზარში გავიდა. შეიძლება ხატავდეს რამეს კიდევაც. მიღე-მოღეკი და იპოვნი სადმე!

როცა გაიგო, ვერ ვიცნობდი. მითხრა:

— ახე ჩემს ტანად იქნება და ჩემოდენა წვერი აქვს. ოღონდ უფრო გახუნებული. ცოტა გამხდარიც არის.

ის იყო ბიძაჩემიც მოვიდა:

— ბიჭო, მირჩაინი ხომ არა გგონია, რომ აქეთ-იქით დააბოტებ. დაიკარგები სადმე. არავინ გაგა-არიფოს. კაცს ვერ იცნობ და როგორ უნდა იპოვო? ან და რა უნდა უთხრა, კიდევ რომ მოაგნო?

— არა ბიძაჩემო. ძალიან მინდა იმისი ნახვა, ჩვენი სოფელი უოფილა.

მაშინვე ამხანავს გასძახა ბიძაჩემმა, —ახლავე მოვბრუნდებიო. და თან წამოშევა.

შუბაზარში რომ გავედით. ერთ მოედანზე ვიღაცა ზორბა კაცს თიხის ჭურჭელი გავშალა. თვითონ არხინად ჩამომქადარიყო წაქცეულ კოკაზე და ყალიონს აბოლებდა. მუჭურები კიდევ მიდი-ოდნენ და ევაჭრებოდნენ... ნიკალაც იქ იყო, ჩაცუქულიყო და რაღაცას ხატავდა.

გამხდარი იყო საწყალი, ცარიელი ძვალი და ტუავი... მაგრამ რომ ხატავდა, რაღაცა უხაროდა და შუბლზე ნათელი ადგებოდა. შუბლი?.. შუბლი ჰქონდა ისეთი, რომ არა დაიწერებოდა. მე და ჩემმა ღმერთმა.

ბიძაჩემი რომ გამოელაპარაკა. ფიროსმანმა გაი-

ცინა, მაგრამ თავი მალლა არ აუღია. ისევ ხატავს განაგრძობდა.

— რომ არ შევანჯღრიო და მთელ დღეს თავზე ვედგე. ვერაფერს გაიგებსო. — მითხრა ბიძაჩემმა და მხარზე ხელი დაადო. ფიროსმანი შეიმშუმუნა. თითქოს ეწყინა ბიძაჩემის დანახვა.

— შენი სოფელი კაცი მოვიყვანე, უნდა გაგაცნო. — უთხრა ბიძაჩემმა და ჩემზე მიუთითა.

ფიროსმანს გაეცინა. ალბათ კაცად არ ჩამთვალა. მართლაცა ჭერ თხუთმეტი წლის ბაღლი ვიყავ... ჰოდა, ხელი რომ ჩამომართვა, მკითხა:

— რა ამბავია სოფელშიო?

მე ვუთხარი, არაფერია-მეთქი. ან მეთი რა უნდა მეთქვა?

— წვიმები თუ არისო? — ეს შეკითხვა დამახსოვდა ძალიან.

— მთელი თვეა. აღარ გამოიღარა-მეთქი.

— მოსავალს გააფუჭებს და ეგ არისო, — მითხრა და ხატვა განაგრძო.

კისერი წავიგრძელე. ნახატში ჩავიხედე და... პირში ვიყო თუ გატყუებდე. ის მეტურჭელი კაცი თავისი ღოჭებით, კოკებით, ქილებით, ხელადებთ და ერთი სიტყვით, თავის ავან-ჩავანით, ისე გადაეხატა, რომ ნამდვილი გეგონებოდა. იფიქრებდი. კოკას უჭრში ხელს წავავლებ და საითაც მინდა, იქით წავიდებო.

ბიძაჩემმა მითხრა, ახლა წავიდეთ, სადამოზე თვითონა გვენახავს და იქ ვისაუბროთო.

ორიოდე ნაბიჯი რომ გავიარეთ, სოფელში როდის მიდიხარო. მომძახა. მივბრუნდი და პასუხი გავეცი. მაგრამ ჩემი სიტყვებისთვის უურადღება აღარ მიუქცევია. ნახატს ჩასცქეროდა ალტაცებული. შუბლზე კი უცნაური ნათელი ეფინა. ისეთი ნათელი დღემდე არავის შუბლზე შემინიშნავს... შუბლი? შუბლი ჰქონდა ისეთი, რომ არა დაიწერებოდა. მამისხულს გეფიცები.

ის იყო და ის. აღარსად შემხვედრია ფიროსმანი... ახლა რომ ამდენს აქებენ, გულში მივბოღებმა, რატომ ხშირად არა ვხვდებოდი და არ ვესაუბრებოდი. ან რატომ ორიოდე სურათი არ დავახატინე და არ შევინახე. ახლა ხომ ფასდაუღებელი განძის პატრონი ვიქნებოდი...

გიორგი კაკაშვილი



# შპანასკნელი ინტერვიუ

ახლა მთაწმინდაზე სამი ქართველი მსახიობი განისვენებს: ვასო აბაშიძე, სერგო ზაქარაიძე და აკაკი ხორავა.

ვასო აბაშიძე სიცოცხლის დიდოსტატი იყო. არც ზაქარაიძის შესრულებას აუღელა იუმორი, მაგრამ მას უფრო ძლიერი ხასიათები იტაცებდა. ის თავისუფლად გრძობდა თავს ორივე უანრში — კომიკურშიც და დრამატულშიც.

აკაკი ხორავა ტრაგიკული უანრის მსახიობი იყო — მისი გმირები მაღალი სულის ადამიანები იყვნენ და თავსა სწირავდნენ საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლის საქმეს.

აკაკი ხორავამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს კულტურას — მან დააარსა თეატრალური ინსტიტუტი და თეატრალური საზოგადოება. მას ჰქონდა ბუნებისგანვე ნახაზები დიდი აქტიორული მოხატვები. მისი სიცოცხლე ღირსებასა და სახელს მატებდა თანამედროვე ქართულ თეატრს.

ამჯერად ჩვენ გვინდა ზოგი რამ გავხსენოთ ხორავას შესახებ.

...1980 წელს რუსთაველის თეატრი გასტროლებზე იყო მოსკოვში. წახვლის წინ თეატრის ხელმძღვანელები შეუჩინდნენ ხორავას: გამგზავრებამდე ოტელოსთან გამოსათხოვარი საღამო მოგაწყობთო. შუამავლის როლი მე დამაკისრეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავეყოლიე. „არ მინდა ახალგაზრდობამ მოხუცის ოტელო ნახოსო“, ამბობდა იგი და მართლაც ძნელი იყო ამაზე კამათი. მიუხედავად ამისა, საღამო მაინც შედგა, მაგრამ არა თბილისში, არამედ მოსკოვში, გასტროლების დროს.

ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ა. ხორავას ფოლადისებური ხმა, მისი ძლიერი ვნება და ტემპერამენტი რაღაც უცნაურად თბილმა, სევდიანმა კილომ შეცვალა. იგი ხშირად ჩურჩულით წარმოხატვამდე სიტყვას, უფრო ალერსიანი და ყურადღებიანი იყო მისი ოტელო. თითქოს მარტო დეზიდემონა კი არა, მთელი სამყარო უყვარდა, მზად იყო ყველას მოხვეოდა და ყველასათვის ალერსიანი სიტყვა ეთქვა. დარბაზი საგლე იყო ხალხით, ოცდახუთი წელი ანცვიფრებდა ხორავას ოტელო მაყურებელს. და ახლა ვახტანგის თეატრის სცენიდან ეთხოვებოდა მას.

ბევრი გამოჩენილი ადამიანი ყოფილა ხორავას ოტელოს ბედნიერი მაყურებელი. აღტაცების ეს წუთები განიცადეს რუსეთის საუკეთესო შეილებმაც. ამიტომ უთხრა მას ვასილ კარლოვი: „ახალგაზრდა შალიაპინის შემდეგ, ასეთი შთაბეჭდილება არ მიმიღია და მიწამდე გიხრით თავს თქვენი ოტელოსათვისო“.

აკაკი ხორავას უამრავი მეგობარი ჰყავდა რუს მწერლებსა და მსახიობებს შორის; ბევრჯერ მომისმენია მისი აღტაცებული სიტყვა გამოჩენილ საბჭოთა მწერალზე — ალექსანდრე ფადეევზე. თავის მხრივ ფადეევიც მუდამ უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა ხორავას. და აი, ერთხელ აკაკი ხორავამ ალ. ფადეევის დეპეშა მიიღო. აკაკი გაოცა დეპეშის ტექსტმა. „თუ კაცი ხარ, მითხარი სად მიღის, რად მემშვიდობებო“, მითხრა აკაკიმ და დეპეშა წამოკითხა. აბა მე რის თქმა შემეძლო. ორი დღის შემდეგ კი ფადეევის სიკვდილის ამბავი გავიგეთ. ხორავა ხშირად იგონებდა, თუ როგორ გამოეთხოვა ფადეევი მას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში — ესეც საოცარი ტრაგიკული საგლე ამბავი იყო, რომელიც ამ ორი შემოქმედის უნაწეს მეგობრობაზე მეტყველებდა.

ოტელოს როლთან გამოთხოვებით ფაქტურად სცენასაც გამოეთხოვა აკაკი. მას შემდეგ იშვიათად გამოდიოდა, მერე კი სულ შეწყვიტა თამაში. არც აქ უღალატა თავის საყვარელი უანრისათვის. ტრაგიკული იყო მისი სიცოცხლის ბოლო წლები. უნდა იყოს სცენაზე გამოსვლა და აღარ შეეძლო, ცოცხალი ცხოვრების ორმოტირალი უოფნა უნდა და აღარ შეეძლო.

მე იგი ვინაა, უკვე მძიმე ავადმყოფი, მის ბინაზე. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. „აი, ნახავ, — ეუბნებოდა აკაკი თავის მეუღლეს, ცნობილ მსახიობს ნ. მესხივილს, — ორი თვის შემდეგ კარგად ვიქნები“. არ დასცალდა.

ჩვენი უკანასკნელი საუბარი ერთ საათს გაგრძელდა. აკაკის ლაპარაკი უჭირდა, პალეზებს, ზოგჯერ უცნაურ პალეზებს აკეთებდა. ხშირად უწყლიანდებოდა თვალები. ხშირად უბრუნდებოდა წარსულს, თითქოს უკვე წარსულში ცხოვრობდა. მრავალ მაგიდასთან იჭდა, ფიქრობდა, ზოგჯერ ისე მოითინებოდა, რომ თითქოს აღარაფერი არ აინტერესებდა, მაგრამ როგორც კი მის მიერ განვიღო გზის შესახებ ჩამოფუტეხები სიტყვას, წამიერად გამოცოცხლდებოდა, ისევე ძველებური, მაგრამ უკვე გაზარდილი ხმით იწყებდა საუბარს. ცოტა ხანს ჰყოფნიდა ენერჯია, მალე იღლებოდა.

ჭრემლებს ვერ ვიკავებ გარდასულ დღეებს რომ ვიგონებ, — ამბობდა აკაკი. უცებ ნემსოვნი-დანტონკოვ დაიწყო ლაპარაკი: — ომის წლები იყო. მაშინ სამხატვრო თეატრის მსახიობები აქ იმყოფებოდნენ. ერთ დღეს ნემსოვნი მითხრა — მარტო მე და შენ ვავიაროთ ქალაქშიო. წავიდეთ. ნელი, დინჯი ნაბიჯით მიდიოდა რუსთაველის პარსპეტკე. სიმართლე გითხრათ, მე მივირდა ასე სიარული, მეშინოდა წინ არ გამეჩქრო, ნემსოვნი მამამინია, წვერებზე მოისხვა ხელი და ღიმილით გამომხედა. „არა, ჩქარი სი-

არული მეც შემიძლია, მაგრამ ახლა ასე მიჩვენია“, — თქვა მან. პირველ საშუალო სკოლისაკენ გადავუხვიეთ. მივხვდი, სადაც მიდიოდა ნემსოვნი, თავისი სკოლა უნდა ენახა. ბავშვები შემოეხვივნენ. ცოტახანს იდგა ჩაფიქრებული, მერე გამოხრუნდა უხმოდ, და უფრო ნელი ნაბიჯით წავიდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა საგლე. ბავშვობა გაიხსენა და გული აუჩუყდა მოხუცს. აი ხედავ, მეც ასე შემართება, ძნელი ყოფილა, როცა კაცს მარტო წარსული დაგჩრება. ჩემი დღევანდლობა კი აი ეს არის, როგორსაც მხედავთ...

მინდა ნაღვლიანი განწყობილება შევუმსუბუქო და ვეუბნებ: — ბატონო აკაკი, თქვენ იმდენად ბევრი გააკეთეთ ქართულ თეატრში, რომ გულნაკლული არ უნდა იყოთ. თქვენი ენერჯია, ტალანტი, ხმა და გულის სითბო გადაეცა ქართულ ოტელოს, დიდ ხელმწიფეს, კარლ მოორს, ბერსენევს... ამ სახეებს ხომ წლები აღარ ემატებათ, ისეთებადვე დარჩენი ისტორიაში, როგორც თქვენ შექმენით. რა შეიძლება ამ ბედნიერებას!

— ეგ, — ისევ ჩაიქინა ხელი მსახიობმა, — ყველაფერს მაგას მაინც ერთი სახელი ჰქვია — წარსული. ცოცხალ კაცს დღევანდლობა აინტერესებს. ერთი ხუთი წელი კიდევ რომ შემძლებოდა თამაში? ხუთი წელი... არ დამაცალა ამ ონერმა, მუხლები მომეკვთა, — თქვა და გაიღიმა. ვგრძნობ, რომ სიმხნევე უბრუნდება. ზოგჯერ ისე მოულოდნელად წამოიწყებს რომელიღაც თემას, რომ მივიჩნის საუბარში ლოგიკური თანმიმდევრობის დანახვა. კაცმა რომ თქვას, არც არის საჭირო, მოხსენებას ხომ არ კითხულობს.

— ნემსოვნი მითხრა — სულ შექსპირზე ვფიქრობ, და ვერაფერი გადამიწყვეტიაო.

— დადგით „მეფე ლირი“ — ვუპასუხე მე.  
— ო, არა, ბნელი პიესაა, არ მიყვარს.  
— სხვა იყოს, რომელიც გნებავთ.  
— სისტემის ბრალია, სისტემის... — ამ სიტყვებმა ცოტა გამოაცა. სტანისლავსკის სისტემას გადაჭრა ნემსოვნი.

ხორავას გადმოცემით, სამხატვრო თეატრის განდგომას შექსპირისაგან ნემსოვნი სისტემის თავისებურებით ხსნიდა.

— თეატრში კარგი ბიჭები არიან — ეროსი, რამაზი... რამაზი მოდის ხოლმე, სხვებიც, ყურადღებას არ მაკლებენ... არავის არ ვემდურე. ოღონდ ივარჯონ, თეატრს მიხედონ. ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. მეტს ნუ მოგვთხოვენ. ზოგიც სხვამ გააკეთოს. ასე არ არის?

— ასე, ბატონო აკაკი, ყველა თაობას თავისი დრო აქვს. თეატრი კი ყველაზე თანამედროვე ხელოვნებაა. იგი არსებობს მხოლოდ მიმდინარე დროში, აი, ახლა, დღეს. ხვალ კი, როგორც იქნება ცხოვრება, ისეთივე იქნება მისი თეატრიც.

აკაკიმ ჭიქით ღვინო მოამწოდა და მითხრა: — დავლიფთ ჩვენი თეატრის სადღეგრძელო! მე დავლიფ, მაგრამ ნუთუ ავადმყოფიც დაღვეს. არა, იგი ჭიქას მაღლა სწევს და ისე მავიღაზე სდგამს: „ჩემი სასმელი რძეა“. თითქმის თავისთვის ჩუმათ, ნაღვლიანად ამბობს:

— თეატრი ვუკაცური უნდა იყოს. განაზებული ხელოვნება შორს ვერ წავა. ამ გზით მაყურებელს ვერ აადლებებ, ვერა მამო! მაყურებელს თავისებური ფსიქოლოგია აქვს: თუ დაგინახა, რომ სცენაზე მისთვის იხარჯები, მისთვის იტანჯები, მაშინ დაგიკარავს ტაშს, ისე თავს არ შეიწყუბებს. სწორიც არის. შენ არ იწყუბებ თავს და ის რატომ მოგვეფეროს?

— ჩვენი მაყურებელი, ასე მგონია შეიცვალა, — ვუთხარი მე. გულგრილი გახდა. ზოგჯერ სპექტაკლიც მოსწონს, მაგრამ ფარდის დახურვასაც კი აღარ უცდის, გარბის.

— ეგ მართალია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ თეატრი განიღდა, ციცილი მოაკლდა... არა, ამბობენ კარგი სპექტაკლებიც იდგმება... არ მინახავს აბა, როგორ, ვნახავ, ვერ დავდივარ, — მობოდიშებით ამბობს აკაკი, ვტყუბ შენიშვნების გამოთქმასაც ერიდება. ცდილობს მარტო კარგი თქვას, კეთილი მოხუცის თვალთ უყურებს ახალგაზრდობას.

— შეგაწუხებ ბატონო აკაკი, ახლა წავალ. — ვამბობ და ფეხზე ვდგები. იგი ერთ ადგილზე წრიალებს. — ხედავ? ვერ ვდგები. სტუმარსაც ვეღარ ვაცილებ, არაფერია, გაიფიქროს. კიდევ ორი თვე და კარგად ვიქნები, — ამბობს იგი და თვალები ცრემლებით ევსება.

აი, ეს მთასავით კაცი პატარა ბავშვივით იჭდა მაგიდასთან და წამოდგომა აღარ შეეძლო. იგი გრძნობდა, რომ უკანასკნელ ტრაგიკულ როლს ასრულებდა, ოღონდ არა სცენაზე, არამედ სინამდვილეში, ეს იყო უკანასკნელი და უჩვეულო როლი, მისი გმირები ყოველთვის ფეხზე მდგომარე ხდებოდნენ სიკვდილს. ახლა კი თვითონ ჩამოხლულიყო და ამაოდ ცდილობდა წამოდგომას.

მასილ კიკნაძე

საქ. სსრ კ. მარქსის  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

# ძი ა ნ ი კ ა

მოთხრობა

ძია ნიკას სახელოსნოს რაღაც წაგრძელებული სამკუთხედის ფორმა აქვს. ვიტრინიდან ქალის და მამაკაცის კალაპოტში ჩასმული ფეხსაცმელები და ლურსმანზე ჩამოკიდებული პატარა ნაღი (აღბათ მტრის თვალის დასავსებად) საწყალობლად გაჟურბენ მოსაფლტებულ ქუჩას. სახელოსნოს ახარზე გაკეთებულია წარწერები: „ფეხსაცმლის მიქანიკური გაწევა“ და „ფეხსაცმლის შეკეთება მომხმარებლის თანდასწრებით“.

სახელოსნო იღბა დილის ათ საათზე. ხუთი წუთით ადრე თქვენ შეიძლება შენიშნოთ ტროტუარზე მომავალი დებალი. დიბიანი მამაკაცი, დინჯად მოხაზბაჯდება იგი და სახელოსნოს დარბაზზე ჩამოკიდებული ბოქლომის გახსნას რომ იწყებს. მარცხნივ და მარჯვნივ იხედება, მერე დინჯად შეიბიჭებს ზოლზე თავის საშფლობრელოში. ნიკას დაცდილი აქვს: მარცხენა ფეხით არასოდეს გადაიბიჭებს კარის ზღუდებს. და აი ახლაც, ფეხი შედგა თუ არა, ფანჯრიდან ძველი გახუნებული ფარდა ჩამოხსნა, აბაზიანი ამოიღო ჭიბიდან, საშუშაო მაგიდის ყუთში ჩადო, ბარაქა მოვიდესო, მერე სკამზე ჩამოჭდა და ფიჭის მიცა.

დილით, სანამ სიფთას არ აიღებდა, ნიკას არ უყვარდა ნისია საქმე, ნაშუადღევს შემდეგ კი თუნდ ხელფასამდე დაგაცილიდათ ვალის გადახდას.

ნიკას ორიოდ წელია ვიცნობ. უფრო ადრე, ისე როგორც ბევრ სხვას, თავისი სახელოსნოს წინ მობაზბაჯე მოხუცი მეც შემინიშნავს, მაგრამ პირველი აღბათ არასოდეს გამოველაპარაკებოდი, თვითონ რომ არ შევიტერებინე და ჩემი ვინაობით არ დაინტერესებულყო. ერთხელ მან სახელოზე ხელი წამავლო და მოთხრა:

— გეტყობათ პატოსანი ყმაწვილი ბრძანდებით, ერთი რამ უნდა გქონოთ, მამას გაფიცებით, გულაბდილად მოთხარით თქვენი აზრი!

ნიკამ უცერემონიოდ განაგრძო: — ჩემი ვაჟი შენხელა იქნება, წელს კონსერვატორიას ამთავრებს, მიკვირს ჩემი ჭკუა და ადღო რომ არ გამოყვა იმ უჯიშოს!

— რაშია საქმე?

— ეგმ, ქვეყნის ნათრევი ქალი აიკიდა ჩემმა ბიჭმა და მისი შემყურე ლამის არის გავიფიდე, მინდა საკუთარი ხელით დავხარჩო, მაგრამ მამის გული, ზომ წარმოგადგენიათ, მამის გული თქვენ რას იზამდით. შეირაფადით უწნეო ქალს?

— მერედა, დარწმუნებული ხართ, რომ ის ქალი უწნეოა? ქვეყნის ენა ხომ იცით?

— მაშ შეიძლება ყველაფერს უგონებენ?

— რატომ არ შეიძლება? ჭერ დანამდვილებით გაიგეთ ყველაფერი!

— მოო... მაშ, იქნებ ჩემი შვილი მთლად გაგიუბებული არ არის, ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენ რა ხელობის კაცი ხართ?

— ინსტიტუტში ვმუშაობ.

— მაშ, ფული ზლომად გექნება?

ნიკამ ვილაც ფაცნობს მოპკრა თვალის. შეაჩერა და საუბარი დაუწყო. სახელოსნოს დათვალერებით გავერთე. შიგნით კედელზე ორი წარწერა იყო გამოკრული: ერთი ილწებოდა: „უხაქმოდ ნუ გაჩერდებით!“ მეორე: „თამბაქოს შოწევა აკრძალულია!“

მალე ნიკა დაბრუნდა და მამცნო:

— ეგ კაცი ცნობილი ქირურგი კაციტაქია!

\* \* \*

მე საერთოდ უპარათო კაცი ვარ და როდესაც ფეხსაცმელები მიძველდება, ყოველგვარი შეკეთების გარეშე მენაგვეს გავატან ხოლმე. ამჭერად გადავწყვიტე ნიკასათვის მიმეპარათა. მეორედ მისულს ქათინაურებით შემეგება, სკამი შემომთავაზა, გაწეოში გახვეული ფეხსაცმელები გამომართვა, არც გაუხსნია, ისე დამითქვა უკან წადების ვადა; თანაც დამიბრდა, ჩემს ფეხსაცმელებს ისე გააკეთებდა, რომ ვეღარ ვიცნობდი.

— რამდენი დამიჭდება?

— არხინად ბრძანდებოდეთ, სულ არ მინდა თქვენგან არაფერი.

მესიამოვნა მისი თავაზიანობა, მე საერთოდ ვაჭრობა მძაგს, გადავწყვიტე გულუხვად გავმსახივებოდი მოხუც მეწაღეს, როგორც კი ფეხსაცმელები მზად იქნებოდა.

— მაშ, ხვალ სრულ ოთხ საათზე, არა? კეთილი და პატოსანი!

მეორე დღეს ნიკას სახელოსნოს მივაღეჭი, მაგრამ კარები ბოქლომით იყო დაკეტული. მოვიცადე. როგორც იქნა, სახელოსნოსაკენ მომავალი ხარაზი შევნიშნე, მან შემომხედა, მაგრამ არ მიცნო, გადავწყვიტე გამეხსენებინა ჩემი თავი.

— ძია ნიკა, მზად არის ჩემი ტუფლები?

— შენი რომელია?

დავუწყე ძებნა. რაღაც ბინძურ ვედროში ვიპოვე ჩემი უწერული ფეხ-

საცმელები, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდიოდა, ამოვიღე და წინ დაუწყე ხარაზს.

— ეს არის პირობა?

— შენ ხომ სჯამ ხოლმე? — მკითხა ნიკამ.

— ჰამა რა შუაშია?

— პურის საქმელად წავედი და ვერ მოვასწარი გაკეთება!

— ახლა რა ვქნა, ხუთ საათზე დასაფლავებზე ვარ წასასვლელი.

— ვინ მოგიკვდა?

— ჩემი ამხანაგის დაი!

მოხუცმა შეიცხადა ეს ამბავი, „უუუ, საცოდავი... ნახევარ საათში გამოირა. ახლა წადი, თორემ თავზე რომ ვინმე დამადგება, არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო!“

დანიშნულ დროსათვის სახელოსნო უკვე დაკეტული იყო. გატულისებული გამოვტრიალდი, ფული ვისცხებ და ახალი ფეხსაცმელები ვიყიდე, ვიფიქრე, ძველებს არტილში მივიტან-მეთქი შესაკეთებლად.

მეორე დღით ნიკა ვინახული.

— ფეხსაცმელები შეაკეთეთ?

— არა, გუშინ სიცხე მომცა და სახლში წავიდი. ახლა რაღა გეჩქარება. დღესაც ზომ არავის ასაფლავებ?

— ძია ნიკა, მე ახალი ფეხსაცმელები ვიყიდე, ძველს შეუკეთებლად ვიბარებ სახლში.

— რაო, რაო? ჩემთან მასეთები არ გადის!

— რა მოხდა?

— გუშინ შენი ფეხსაცმელები სახლში წავიდე, ნახევარი გაგაკეთე და ახლა აღარ გინდა?

იქვე, მის ფერხთით მიყრილი იყო ჩემი ფეხსაცმელები.

— ეს რა არის-მეთქი, ვკითხე.

— ვა, უკანვე მომიტანია!

— მერე აქ რა არის გაკეთებული?

ნიკამ ლანჩა და ქუსლი ამოაძვრინა, ჩემს ფეხსაცმელებს მიაწომა და მომიგო:

— ამას ვერ ხედავ? გამომიჭრია, მიწვალა, და მერე იცი ეს რა არის? — ნიკამ რომელიღაც საზღვარგარეთული ფირმა დაასახელა და მის ნაწარმად გაასალა ტყავის ნაჭრები.

— ძია ნიკა, მე ჩემი ფეხსაცმელები მომეცით, თქვენი საზღვარგარეთული ნაწარმი კი თქვენთვის შეინახეთ.

— ფეხსაცმელებს გავაკეთებ და ისე წაიღებ, ფული არ გაქვს? ერთი თვის შემდეგ იყოს!

ბრავი მომივიდა. მზად ვიყავი არასოდეს მიმეჩედა ნიკას სახელოსნოსაკენ. რომ შემთხვევით მისი ვიტრინის თაღზე ჩემი შეკეთებული ტუფლები არ მეხილა, რომელიც, როგორც მე იმ წუთში ვივარაუდე, ჩემი გულის მოსაღობოდ გამოეწყო ხარაზს. სახელოსნოში შევედი და ტუფლების დახსნა განვიტარებე.

— რამდენი გნებავთ, ძია ნიკა?

— დაბრუნდი? მე მეგონა აღარ მოხვიდოდე, ცხრა! — მწვიდად დაატანა მან.

— ცხრა მანეთი სულ არ ღირს ჩემი ფეხსაცმელები!

— კაპიკი არ დააკლდება!

— მე თანახმა ვარ ხუთ მანეთად დაგიომოთ ჩემი ტუფლები!

— სულელები სხვაგან მოძებნი!

— როგორ, თქვენი შეკეთება ცხრა მანეთი ღირს, ჩემი შეკეთებული ტუფლები კი ხუთი აღარ ფასობს?

— საქმე მაქვს, ნუ მაცდენ! შენ თუ არ გინდა, მუშტარს მოვძებნი!

ნამდვილი მამა აბრამის ბატკანი ჩამიგდო ხელში ძია ნიკამ.

— შენ კიდევ აქა ხარ?

— როგორ თუ აქა ვარ, ფეხსაცმელებს ხომ არ გაჩუქებ?

— იდექი ახა მანდ, სანამდე არ მოგწყინდება!

\* \* \*

შეზინდებისას სავსე მთვარე გამოჩნდა ლურჯ ტატნობზე, დასიცხული ქუჩები ნიავმა გააგრილა. გახტრონოში შევუხვიე. იმ დღეებში „სამეფო თევზი“ მოეტანათ, მაშინვე რიგში ჩავდექი.

შორიდან შენიშნა ნიკამ, მოვიდა, გამიღმა, მეგობრულად გამომდგა მკლავში ხელი და ფეხის წვერებზე აწეულმა ყუთში წამჩურჩულა:

— ჩამაყენე რა შენს წინ, რა იქნება?

— როგორ შეიძლება!

ხარაზმა კიდევ გამომივარა თხოვნა. ბოლოს ძალით აიტუშა ჩემს წინ.

— თქვენ, მოქალაქე, სად დგახართ? — მიმართა მას ჩემს უწინდამ კაცმა. ნიკამ მიაშიტი არსებბსავით შეარხია მხრები და დამტკბარმა უპასუხა:

„აქ“.

— იდგა? — მკითხეს მე.

— არ ვიცი, მე არაფერი არ ვიცი!

— როგორ თუ არ იცი! — შემომიტია ნიკამ.

გავუყრდი. სხვებიც მოერიდნენ მოხუცის წყენას.

ნიკას უკანასკნელი ჩემი მიაწოდა მოლარემ.

# ხალხური საუნჯის დიდი მოამაბე

ქართული კულტურის მოამაგნი მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხური სიტყვიერების ნიშნულების ჩაწერა-შესწავლას. ამ საქმეს გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველად დიდამ ილიამ მიაქცია ყურადღება.

ჩვენს დროში ფოლკლორისტიკას უანაღვრებელი ამაგი დასდო გამოჩენილი მეცნიერმა, ლიტერატურის ისტორიკოსმა, ხელოვნებათმცოდნემ, შესანიშნავმა მოქანდაკემ და ფერმწერალმა ვახტანგ კოტეტიშვილმა. მისი სახელი განუყოფელი არის დაკავშირებული ჩვენი ეპოქის ქართული ეროვნული სულიერი კულტურის აღორძინებასთან.

ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილი დაიბადა 1893 წელს, სოფელ დიდ თონეთში (თეთრი წყაროს რაიონი); თავდაპირველად ვახტანგ კოტეტიშვილის წინაპრები სოფელ ცვათისხევიდან ჩამოსულან თბილისში და მთაწმინდაზე დასახლებულან. ვახტანგის მამა აქედან გადასულა საცხოვრებლად დიდ თონეთში.

ამ ოჯახმა ორი გამოჩენილი მოღვაწე მისცა ჩვენს სამშობლოს — მშენი ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილები.

1911 წელს, თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ ვახტანგ კოტეტიშვილი პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად და ჩაირიცხა ფსიქონერვოლოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგიურ ფაკულტეტზე. ოთხი წლის შემდეგ მან დატოვა პეტერბურგი და სწავლა განაგრძო დორპატის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი მან 1918 წელს დაამთავრა, იქვე დატოვებული იყო სამკურნალო კათედრაზე. ვ. კოტეტიშვილი ჭეჭ კიდევ სტუდენტობის პერიოდშივე შეუდგა დაუცხრომელ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კითხულობდა საქარო ლექციებს, გახდებულად უქერდა მხარს მოწინავე პროგრესულ იდეებს.

1918 წელს მრავალმხრივ განსწავლული ახალგაზრდა მეცნიერი დაბრუნდა საქართველოში, შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამავე დროს ქართულ პრესაშიც თანამშრომლობდა. 1922 წლიდან იგი შედის ახლად გახსნილ სამხატვრო აკადემიაში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა.

1927 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული ფოლკლორის კათედრა, რომლის სულხინასმდეგული ვახტანგ კოტეტიშვილი იყო. მს, როგორც უბადლო მკვლევარი და ქართული ფოლკლორის ისტორიკოსი, შეუდგა

მრავალსაუკუნეთა საიდუმლოებით მოცულ სამყაროს გამოხეურებას.

ვახტანგ კოტეტიშვილმა სამწერლო მოღვაწეობა 1912 წლიდან დაიწყო. მის კალამს ეკუთვნის წერილები: „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“. წერილების სერია — „დამბლმობათური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XV საუკუნიდან შეერთებამდე“.

1918 წელს მან ცალკე წიგნად გამოსცა ნაჩვენევი შიო არაგვისპირდის შემოქმედებაზე: 1921 წელს — მონოგრაფია „უოტ უიტმენი“ და ნარკვევი „მეთოდის საკითხი სოციოლოგიაში“.

თავისი ფუნდამენტური ნაშრომის — „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გამოქვეყნების შემდეგ ვახტანგ კოტეტიშვილმა თავისი რედაქციით და შესავალი წერით გამოცა გრიგოლ ორბელიანის თხზულებანი და აღექვანდრე ყაზბეგის მოთხრობების პირველი ტომი. იმავე ხანებში ქართველმა მკითხველმა მიიღო მისი შესანიშნავი წიგნი „აღ. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“, რომელშიც მკვლევარმა გაფანტა ის გაუგებრობანი, ამ დიდი ქართველი მწერლის სახელის ირგვლივ რომ ჰქმნიდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ვ. კოტეტიშვილის კვლევითი მუშაობა ძირითადად ქართული ხალხური შემოქმედების შესწავლისაკენ წარმართა.

1922 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუსეუმთან დაარსდა ფოლკლორული განყოფილება და ფოლკლორული არქივი; შემდგომში, 1926 წელს, ეს განყოფილება დაედო საფუძვლად ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტს, რომელსაც ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ეწოდება. კოტეტიშვილისავე თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1928 წლიდან შემოღებული იქნა პოეტის კურსი. მუსეუმში მასთან ერთად დაუცხრომელ კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ქართული ხალხური მუსიკის უბადლო მცოდნე კომპოზიტორი პრაქ. დიმიტრი არაუიშვილი, სტუჩენკო-კუჭინა (მას ეკუთვნის სპეციალური შრომა ქართული ხალხური მუსიკის ისტორიაზე), მიხეილ აბაშიშვილი, ქსენია სინარულიძე და სხვები.

ვ. კოტეტიშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოს რაიონებში წინასწარ შედგენილი მარშრუტით მომუშავე ფოლკლორისტულ ექსპედიციებს და ამ გზით მდიდარი მასალების

შეგროვებას. იგი დიდი მეცნიერული ადლოტი სწავლობდა ექსპედიციების დროს მოპოვებულ მასალებს და ფართო საზოგადოების სამსჯავროვ გამოჰქონდა.

ვ. კოტეტიშვილი 1930 წლიდან აწყობდა დიდ ექსპედიციებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ექსპედიციების დროს შეგროვილი მასალები, დღესაც ფოლკლორული არქივის მდიდარ მაროს ფონდს წარმოადგენს. მან პირველმა გამოიყენა შატაიანის ცნობები დავით აღმაშენებლის ეპოქის სახიობათა შესახებ, მანვე მიაქცია ყურადღება იმ ცნობებს, რომლებიც თამარის ეპოქას ეხებოდა და რომლებიც შემოწმებულია შატაიანი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; მანვე უდიდესი მეცნიერული ეროვნული დასვა საქათხი ქართული ხალხური ლირიკისა და ეპოსის ცალკეული მხატვრული სახეების უძველეს მითოლოგიურ საფუძვლებზე, აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ანალონი ქართული ფოლკლორის შედევრებისა („ქალი-ხვარამზე“, „თავფარავნელი ქაბუკი“, „ქართული ქალის ტირილი“). მანვე ეკუთვნის ქართული ხალხური პოეზიის შედევრების დათარიღების და კონკრეტულ ისტორიულ გარემოსთან დაკავშირების პირველი ცდები („შემოქმედება ყიფჩაღი“, „დავით აღმაშენებელი“, „მუმილი მუხასაჟი“, „მადლიდან გადმომდგარიყო“).

ვ. კოტეტიშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის საკითხს, სადაც ვაარკვია აკაცი წერეთლის ურთიერთობა ხალხურ შემოქმედებასთან და მისი როლი ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლაში. ასევე დიდად საინტერესოა მისი წერილი „სურამის ციხის ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორში“.

1934 წელს, ვ. კოტეტიშვილმა გამოაქვეყნა „ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი. აქ ფართო მკითხველი პირველად გაეცნო მანამდე მივიწყებულ უძველეს მარკალიტებს ქართული ფოლკლორისა; ამ წიგნმა, შეიქმნა ითქვას, ახალი საფეხურზე აიყვანა ქართული ფოლკლორისტიკა.

ვ. კოტეტიშვილი მუდამ ხალხის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. უნდა გენახთ იგი, როცა სახალხო მთქმელებში გაერეოდა, მორცხვობისაგან გარუმებულ გლეხებს წახალისებდა კითხვით, ამბის მოყოლით და ყველას აიყოლიებდა, ენას ამოაღმევიებდა, გაახსენებდა ყოველივე კარგს, რაც უამისოდ შეიძლება დაეწყება მისცემოდა.

ვახტანგ კოტეტიშვილის ყოველი ნაწარმოებში იგრძნობა დროს ინტელექტუალური კულტურა. უადრესად დახვეწილი გემოვნება, შესანიშნავი. მდიდარი და ძარღვიანი ქართული ენა.

ეთერ მამაშარინი

გზაში გაწინათული, ჩანთით წამოშვია მეწადე. ერთხანს ვერდიტი მომეცებოდა, შემდეგ წინ გამიწყო. სწრაფად მიდიოდა იგი ჩანთით ხელში, მე კი ხელცაბრით მივდევდი უკან.

ნიკას სახელოსნოს რომ მივუახლოვდი, გულმა არ გამიძლო შიგ არ შევსულიყავი. ვიფიქრე: ჩემს ხარჯზე „სამიფო თევზი“ აიღო და გულმომბაღმა იქნებ ახლა მანც გამიწიოს ანგარიში. ჩემი ვიზიტი შეიცვალა ხარაზმა, შემდეგ კი უძრტვივედვი ხმით მომიგო:

- დაკეტულ კარებში როგორ შემოძვერი?
- მე დია კარებში შემოვდი.
- ფული მომიტანე?
- ძია ნიკა, ნუთუ მართლა ცხრა მანეთს მახდევინებ?
- კარგი, რვა იყოს!
- რვა რვა და ცხრას შორის რა განსხვავებაა?
- მგას თუ ვერ ამჩნევ, ინსტიტუტში ვინ მიტილო? — ძია ნიკამ ონკანიდან წყალი დალია. გემრიელი წყალია — თქვა მან.
- ფულზე უფრო?
- ფული რა არის. ქარი მოიტანს, ქარი წაიღებს!
- რაღაც არ გეტყობა შენს ჭიბებში ქარი ქროდეს. ძია ნიკა!
- მე და ფული? აბა ნახე! — ნიკამ შარვლის ჭიბებში გადმოაბრუნა.

- ძია ნიკა, მოდი, მხე ცარიელ ჭიბებში ჩემი ხუთი მანეთი ჩაიდევი, ფეხსაცმელები მომეცე და გამიშვი. მეტს აღარასდროს შეგაწულებ.
- ცხრა! — მოკლედ მომიტყა ხარაზმა.
- აჰ წილან რვაზე დასთანხმდი.
- წილან გეხუმრებოდი.
- შენი პასუხი გადაწყვეტილია?
- ჩემი სიტყვა სიტყვა! — დინჯად დასძინა ხარაზმა.
- იცოდე სამუდამოდ დამკარგავ!
- ხარაზმა გადინხარხარა. „შენზე უკეთესი არაფერი დამკარგავს!“
- მას აგრე!
- წადი დაძინე, — მიხობა ხარაზმა, — შენელა რომ ვიყავი, ამ დროს დოგინში ეკოტრიალებდი. ვერ ხედავ ბნელა, სახელოსნო უნდა დაკეტო. ხელის ოდნავი ბძვით ნიკამ კარებისაკენ მიმიითთა:
- წადი, უნდა დავეტო სახელოსნო!
- ნიკამ კედლიდან ჩამოსხდა დიდი ბოქლოში, სინათლე გამოართო და გარეთ გამოვიდა, დაჩაბა მიხურა და ზედ ბოქლოში დააღო.
- ბაჩბაჩით გაუყვა გზას, მალე თვალს მიეფარა.
- ერთ ადგილას გახევებულს ყურში მიწიოდა მისი სიტყვები, თავის შეიღწე რომ თქვა: „შეიკვირს, ჩემი შნო და ლაზათი რომ არ გამოჰყვა ცხოვრებაში იმ უჭიშოსო“.

# პიკუნი მაცხარებელი

მიმდინარე წლის ოქტომბერში ფართოდ აღინიშნება ამიერკავკასიის რკინიგზის 100 წლისთავი.

საფუძვლით გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს ამ მნიშვნელოვანი ფოლადის მაგისტრალის იუბილე.

გზის ტრასის გამოკვლევის, პროექტის შედგენის და სამუშაოების ჩატარებისათვის მოწვეული იყვნენ როგორც ქართველი ინჟინერ-ტექნიკოსები, ისე უცხოელი სპეციალისტები, იმ საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა შორის, რომლებიც რევოლუციამდელ წლებში ამიერკავკასიაში განხორციელდა, ფოთი-თბილისის ფოლადის მაგისტრალის გაყვანას, თავისი დიდი მნიშვნელობით, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

რკინიგზამ ბევრი რამ ახალი მოიტანა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მატარებლების მიმოსვლამ ხელი შეუწყო ქალაქების, დასახლებული პუნქტების განვითარებას, მრეწველობის წარმოშობას და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის აღორძინებას.

1872 წლის 22 ოქტომბრის სამახსოვრო დღეს თბილისიდან ფოთისაკენ დაიწყო პირველი სატვირთო-სამგზავრო მატარებელი; ამ გზამ თბილისი პირდაპირი მიმოსვლით დააკავშირა შავი ზღვის ნავსადგურთან — ფოთთან. ამ მაგისტრალის გაყვანას წინ უძღოდა ფოთის ნავსადგურის აგება (1868-1870 წწ.), რაზედაც ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1848-1928) იჩენდა მზრუნველობას.

ფოთი-ბაქოს ხაზის აგების თაობაზე 1857 წლიდან არსებობდა სამი წინადადება. ამ წინადადებათა დეტალურად განსახილველად თბილისში შეიქმნა დროებითი კომიტეტი, რომლის პირველ სხდომაზევე გადაწყვიტა საძიებო სამუშაოთა დაწყება. მთელი მანძილი ფოთიდან ბაქომდე დაიყო ექვს უბნად.

1864 წ. მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის საბოლოო პროექტი.

1865 წლის მაისში სამუშაოთა დასაწყებად ერთი მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ ოფიციალური ნებართვის გაცემამდე დაიწყო მიწის სამუშაოები ზესტაფონში. იმავე წლის ნოემბერში კი ნებადართული იქნა მთელი თანხის — 8.210 ათასი მანეთის გაღება გასხვისების ზოლში მოზიდვად რილი მიწების შესასყიდად, მიწის ვაკისის მოსაწყობად და საჭირო ნაგებობათა ასაგებად.

სამუშაოთა წარმოების პროცესში რკინიგზის აგების შესახებ მოლაპარაკება წარმოებდა როგორც რუს, ისე უცხოელ კაპიტალისტებთან. 1870 წლის ივლისს სამუშაოთა შესრულება გადაეცა ფოთი-თბილისის გზის საზოგადოებას.

1871 წლის აგვისტოს გაიხსნა მიმოსვლა გზის — ფოთი-ზესტაფონის უბანზე. გზის გახსნას წინ უძღოდა მისი შემოწმება მთავრობის კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდა მ. გერსევანოვი (გარსევანი-შვილი — 1880-1907), რომელიც შემდეგში პეტერბურგის გზათა საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორი იყო.

მუშაობა გზის დანარჩენი უბნების დასამთავრებლად სწრაფად მიმდინარეობდა და დასრულდა 1872 წლის ოქტომბერში. გზის მშენებლობა დაჯდა 28.808 ათასი მანეთი ვერცხლის ფულით.

1872 წლის 30 ივნისს თბილისში მოვიდა პირველი მუშათა მატარებელი. გზის უკანასკნელი უბნის მცხეთა-თბილისის შემოწმება ჩატარდა იმავე წლის ოქტომბერში.

1872 წლის 22 ოქტომბერს, ცადკეული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ გაიხსნა პირდაპირი მიმოსვლა მთელ ხაზზე.

თავდაპირველად იყო ორი სატვირთო-სამგზავრო მატარებელი: ერთი — № 2 თბილისიდან გა-

დიოდა დილის 7 ს. და 56 წუთზე და ფოთში ჩადიოდა საღამოს 11 საათზე; მეორე — № 1 ფოთიდან გამოდიოდა დილის 8 საათზე და თბილისში საღამოს 11 საათზე იყო. ამგვარად მანძილის დაფარვას 15 საათს ანდომებდა. სურამის უღელტეხილის გადასასვლელად მგზავრები უნდა გადასულიყვნენ უღელტეხილისათვის დანიშნულ სპეციალურ ვაგონებში. მაგისტრალის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ფოთი-თბილისის მაგისტრალზე, ადგილმდებარეობის რთული პროფილის გამო, მრავალი ხელოვნური ნაგებობა ააგეს; ამ ტრასაზე 1886-1890 წლებში, უაღრესად მძიმე პირობებში გაიყვანეს ერთ-ერთი უდიდესი — სურამის გვირაბი.

1877 წლის მაისში მატარებლების მიმოსვლა გაიხსნა რიონსა და ქუთაისს შორის.

1888 წლის მაისში მატარებლების მიმოსვლა დაიწყო სამტრედიის-ბათუმის ხაზზე. იმავე წლის 20 მაისს, ღამით, თბილისიდან ბაქოში გავიდა პირველი სამგზავრო მატარებელი. ამ უბანზე რკინიგზის მშენებლობა დაკავშირებული იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან და გამოწვეული იყო ნავთობზე საშინაო და საგარეო ბაზრის მზარდი მოთხოვნილებით.

1887 წლის დეკემბერში მატარებლების მიმოსვლა დაიწყო ქუთაისსა და ტყიბულს შორის.

1886 წლის ივლისში დამტკიცებულ იქნა სურამის გვირაბის პროექტი და იმავე წელს მუშაობას შეუდგნენ. სამშენებლო სამუშაოები ისეთი ტემპებით წარმართა, რომ 1888 წლის ოქტომბერს გვირაბის მთბრელები ერთმანეთს შეხვდნენ ორი მხრიდან. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ამიერკავკასიის და პეტერბურგში ეცნობა გზათა სამინისტროს.

1890 წლის აგვისტოში დაიწყო ახალი ხაზის შემოწმება, ხოლო იმავე წლის 16 სექტემბერს გზათა მინისტრის თანადასწრებით გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა ორლიანდაგთან გვირაბით.

გვირაბი შენდებოდა ძნელ პირობებში. მის აგებაზე ორი ათასამდე კაცი მუშაობდა. გვირაბის სამუშაოების უფროსი იყო ინჟინერი რიშევიკი. ასეთი მნიშვნელოვანი, რთული საინჟინრო ნაგებობის დამთავრების აღსანიშნავად სახელმწიფო ზარაფხანამ ბრინჯაოს დიდი მედლი გამოუწვია. წარწერა გვეუწყებს: „1888 წელს დაწყებული და 1890 წელს დამთავრებული სურამის გვირაბის გახსნის სამახსოვროდ“.

მართალია, სურამის გვირაბმა ბევრად შეამცირა წინანდელი ქანობი, მაგრამ მატარებლების მოძრაობა ამ უბანზე გაძნელებული იყო ორთქლმავლების არასაკმარისი სიმძლავრის გამო. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა 1892 წლიდან, როცა ამ უბანზე გამოჩნდა ფერლის სისტემის უფრო მძლავრი ორთქლმავლები.

1889 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის რკინიგზა კონცესიიდან გადაეცა სახელმწიფოს ხაზინას. 1902 წელს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა ბორჯომსა და ბაკურიანს შორის.


1904 წელს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა ქუთაისსა და საჩხერეს შორის.

1915 წელს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა თბილისი-თელავს და გურჯაან-წყნოს შორის. 50 წლის შემდეგ, 1965 წლის 25 თებერვალს თბილისიდან გურჯაანში გავიდა პირველი ელექტრომატარებელი.

1982 წლის 16 აგვისტოს სურამის გვირაბში, პირველად ჩვენს ქვეყანაში ამუშავდა ელმავლები. თბილისის მარკის რვაღერძიანი მაგისტრალურმა ელმავლამ აქ მიმოსვლა დაიწყო 1958 წლის დასაწყისში.



ლიონდავის შემოწმება მტკვრის ხიდან (1872 წ.)



თბილისი. მარცხენა-ვაზლის პირვანდელი შენობა (1872 წ.). მარჯვენა-ახალი ნაგებობა (1878 წ.).

გაზეთი „პრავდა“ 1958 წლის 24 იანვარს წერდა: „გამოცდის პირველი ნაწილი წარმატებით დამთავრდა. ახლა ელმავლამ ახალი გამოცდა უნდა ჩაატაროს სურამის უღელტეხილის ტრასაზე. ეს უვლამზე რთული უბანია არა მარტო ამიერკავკასიის გზაზე, არამედ მთელ სამბოთა კავშირში. ტყუილად კი არ უწოდებენ მას „ლოკომოტივების შემოწმების ლაბორატორიას“. აქ გამოსაცდელად იგზავნება სხვადასხვა სერიის და მარკის ლოკომოტივები“.

1940 წლის 28 ივლისს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა გორსა და ცხინვალს შორის.

1944 წელს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა ოჩამჩირა-კველანს და ცხაქაია-სოხუმს შორის.

როცა ლაპარაკია რკინიგზის 100 წლის თარიღზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს თარიღი ორ პერიოდს შეიცავს. პირველი 50 წელი რევოლუციამდელი, მეორე 50 წელი საბჭოთა პერიოდა.


პირველი 50 წლის მანძილზე რკინიგზის მეურნეობა ძალზე პრიმიტიული იყო. ორთქლმავლების სიმძლავრე იყო მცირე. ისინი ვერ ავითარებდნენ დიდ სიჩქარეებს, ვერ უზრუნველყოფდნენ დიდი წონის შემადგენლობათა მიმოსვლას. სამგზავრო ვაგონები არ იყო კომფორტისა. სხვადასხვა დარგის სამუშაოებში არ იყო მექანიზაცია, სუსტი იყო ტექნიკური პროგრესი და სხვ.

საბჭოთა ეპოქაში დიდი მოვლენა იყო ორთქლმავლის ელექტრომავლით შეცვლა, რამაც გაზარდა სიჩქარეები, დიდი წონის შემადგენლობათა მიმოსვლა. გაუმჯობესდა სამგზავრო ვაგონები, დაინერგა მექანიზაცია, ტექნიკური პროგრესი. ახლა მატარებლები ფართოდ იყენებენ რადიოდაამავშირებელ აპარატურას, ავტომატურ სიგნალიზაციას. გაუმჯობესდა საგზაო მეურნეობა. ბევრგან ძველი, ლითონის ხიდების ნაცვლად აიგო კაპიტალური ხიდები. საბელოსნოებში დაინერგა მექანიზაცია. თანდათანობით ჩნდება ახალი თანამედროვე ვაგონის შენობები.

გიორგი ბაქანიშვილი



# მომხმარებელი და ბაზარი



საკლემურნეო ბაზრები სავსეა დოვლათით. მიწის სიუხვე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნება, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა ჩვენი რესპუბლიკა, თვალნათლივ ჩანს საკლემურნეო ბაზრებზე. თავის დროზე, ბუშკინი, დიუმა და ბევრი სახელოვანი ადამიანი, რომელთაც ზნად გაუვლიათ, თუ სტუმრად ყოფილან ჩვენს სამშობლოში, მოხიბლული იყვნენ არა მარტო აქაური ბუნებით, ქართველი კაცის სიღამაზით, გულუხვობითა და მძალდი სულით, არამედ თბილისის ბაზრითაც.

სოციალისტურ საზოგადოებაში ბაზარი — სოფლის მეურნეობის ეკონომიური სიძლიერის ანარქულია. საბჭოთა კავშირში არც ერთი სხვა რესპუბლიკის ბაზარს არ ჰყავს ისეთი დიდი მომხმარებელი, როგორც ჩვენსას. ყველა ტურისტის, საბჭოთა თუ უცხოელი, თითქოსდა თავს ვალდებულია თვლის დათვალიეროს ჩვენი ბაზარი, შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი, წილოს ან ფოსტით გადაგზავნოს საჩუქრად, თუ თავისი ოჯახისათვის ციტრუსი, ჩვენებური ვაშლი, ატამი, მსხალი და ბუნების სიკეთის სხვა ნაყოფი. ზაფხულში და შემოდგომაზე არც ერთ რესპუბლიკაში არ იყიდება იმდენი ხილის გადასაგზავნი ყუთი და სხვა ჭურჭელი, რამდენიც ჩვენთან და არსად ისე არ არის გადატვირთული ფოსტა, რკინიგზა, საჰაერო და სხვა ტრანსპორტი ხილის გზავნილებით, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში. ყოველივე ეს კანონზომიერია მოვლენა. სიამაყის გრძნობით ივსები, როდესაც ბაზარში შორიდან ჩამოსული კაცს ხედავ და აღფრთოვანებას ატყობ სახეზე. მაგრამ, სირცხვილია იწვი და აღშფოთებას ეძლევი, როდესაც ჩვენს ბაზრებზე განუკითხველად საქმიანობენ ყოველი ჭურჭის ქორვაჭრები, ადგილობრივი თუ უქსპორტარებული პარაზიტები, პროფესიული, თუ კლემურნის დოკუმენტით შენიღბული სბეკულანტები.

პროდუქტი თვალს ახარებს, მაგრამ გულს გიწვევთ, როდესაც ხედავთ, რომ დახლთან დგას თავხედი ქორვაჭარი, რომელიც გმაცხვავს და ითვიებს თქვენს შრომით დანაშაულს და იმდენად განუკითხავია, რომ არ ერიდება თქვენს დაცინვას, უხეშად მოპყრობას, შეურაცხყოფას. ჩვენს ბაზრებში ამ კატეგორიის ადამიანების საქციელი უარყოფითად მოქმედებს კლემურნე გლეხებზე, რომლებსაც თავისი შრომით შექმნილი პროდუქტი მოაქვთ გასაყვად. მათი წახედვით ზოგიერთი მშრომელი და პატრონანი ადამიანიც იღებს ჩარჩულ იერს, არ ერიდება იმდენი მოგთხოვოს და გადაგახდევინოს, რამდენიც არც კი ფიქრობდა, ისე უხეშად და ისე უტიფრად მოიქცეს, როგორც მის ბუნებას არ ჩვევია. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ბაზრების ცხოვრება არ შეეფარება სოციალისტური ვაჭრობისათვის და მხანაიათებელი კულტურას და იმ დაუწერელ კანონებს, რომელიც შესისხლხორცებული აქვს საბჭოთა ადამიანის მალა ბუნებას.

ბაზრის ირგვლივ მსჭელობა განუწყვეტლივ გვემის, თითოეული ჩვენთაგანი ბევრს ფიქრობთ და ვლამარაკობთ ამის თაობაზე და ყოველთვის ერთი კითხვა წამოგვეჭრება: რაშია საქმე, ნუთუ არ უნდა მოედოს ბოლო იმ უწყინიგობას, რომელიც გამეფებულია ჩვენს ბაზრებზე?

სახანართლოებში არსებული საქმიების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ არ მიმდინარეობდეს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სბეკულაციის წინააღმდეგ. პირიქით, ამგვარი საქმიების სიჭარბე დანაშაულის საერთო მაჩვენებლებზე მეტად უარყოფითად მოქმედებს.

თბილისის ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე სბეკულანტი ზოგი ადგილობრივი მცხოვრებია, ზოგიც რაიონიდან ჩამოდის, ზო-

გი კი მოგებისათვის სხვა რესპუბლიკიდან გვეკლენება. ასე, მაგალითად, შურა პორფილეს ასული გოგორციანი და გერასიმე სეროფის ძე ასლანაიანი აქაურები არიან; პირველი მათგანი გოგორცის ქუჩაზე ცხოვრობს, მეორე მარჯანიშვილის ქუჩაზე კიროვის რაიონის საკლემურნეო ბაზარზე ერთმ. ლობიო და ბალი იყიდა ჩამოსული კლემურნეებიდან, მეორემ კი ქათმები და ეწოდნენ ამ პროდუქტებით სბეკულაციას. გოგორციანს დაკავებისას ხელზე აღწოჩნდა ნავაჭრი 228 მანეთი და სარეალიზაციოდ დარჩენილი 21 კილო ბალი და 18 კილო ლობიო, ხოლო ასლანაიანს 3 ქათამი და 30 მანეთი ფული. დავით მელიტონის ძე გიორგაძე, დარგობრივი ტექნოლოგიური საპროექტო ინსტიტუტის მუშა, კიბრით და პამიდორით ვაჭრობდა თებერვლის თვეში, როდესაც ეს პროდუქტი საბურებში გამოჰყავთ და განსაკუთრებული მაღალი ფასი აქვს; დამანისის რაიონის სოფ. ორუჯის მცხოვრები სელიმ მაგომედ ოღლი, ფიჭვის ინსტიტუტის მუშად ირიცხებოდა, სინამდვილეში კი ბაზარში კარტოფილით ვაჭრობდა და დღეში 40-50 მანეთ მოგებას ღებულობდა. სამგორის საჩიშე ფერმის მუშა ნაზი ალბუხის ასული საურით ფერმაში ყიდულობდა წიწილებს თითოს 1 მან. 70 კაპიად, მიჰყავდა პირველი მანისის რაიონის საკლემურნეო ბაზარზე და ჰყიდიდა 8-4 მანეთად. ქათმებით ვაჭრობის ცნობილი სბეკულიცაა ეკატერინე სერგოს ასული ხმელევა, რომელიც გასაშარათლეს სბეკულაციისათვის და მის მიმართ განაჩენის აღსრულება ვერც კი მოეწრო, რომ იგი კვლავ იწვია პირველი მანისის საკლემურნეო ბაზარს დაკლული ქათმებით დატვირთული ჩანთით. უნვერ ივანეს ძე დოლიძე სასჭელს იხდიდა წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის, საიდანაც გამოიპარა და თბილისში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სბეკულაციას ეწეოდა; შალვა ილიას ძე ტორდუაშვილი, ვასან გამონ ოღლი ვასანოვი, რიმა სერგოს ასული ამირხანიანი, გიორგი არტემის ძე დარჩიაშვილი და ბევრი სხვა პირი გასაშარათლელული იქნენ ამგვარი დანაშაულისათვის და დღეისათვის სასჭელს იხდიან.

განსაკუთრებით მშვიდად გრძნობენ თავს თბილისის ბაზრებზე ყვავილებით მოვაჭრე ქორვაჭრები. ყვავილი აუცილებელი მომხმარებლის პროდუქტი არ არის და ფაქტიურად ყვავილით მოვაჭრეები განუკითხველნი არჩებიან. თითოეული მათგანს ვაჩინია სახეული, რომ აქვს მიწის ნაკვეთი და არის სილამაზის დიდი დამყარებელი პირიგვანა. მათ მიერ სიღამაზის დაფასება იმით გამოიხატება, რომ დღესასწაულის დღეს, როდესაც გსურთ მეთლეს ასიამოვნოთ, არ შერცხვებათ თითოეულ მიხაკში ან ჯიშინ ვარდში 4-5 მანეთი გამოგართვან. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. კიროვის საკლემურნეო ბაზარში მიხაკით და სხვა ყვავილებით სისტემატურად ვაჭრობდა ოქროყენი უშანგი მარტიროსოვი. იგი მშრომელი კაცია, ერთ-ერთ დაწესებულებაში მოწარად მუშაობს. შეთავსებით კი ქორვაჭარია. იგი დააკავებს მიხაკებით ვაჭრობისათვის, მარტიროსოვმა წარმოადგინა ცნობა, რომ მიხაკები მოჰყავს თავისი ბიძაშვილის, წავისის ბიოკომბინატის მუშის, ვიორგი ნიკოლაშვილის ძე მარკოშვილის მიწის ნაკვეთზე და მას ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოეხსნა; მარტიროსოვი დღესაც დაუსჯელია და თავის საქმიანობას აგრძელებს, მხოლოდ უფრო შენიღბულად: მის მიერ მოტანილ ყვავილებს სხვა ჰყიდის. თვითონ კი შორიანლო ტრადლებს და ყოველივეს აჭარბაყვებს. მარტიროსოვის მაგალითზე ისმის საკითხი: რატომ მშრომელთა დებუტატების საბჭოები არ იღებენ გადაჭრულ ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც მიწის ნაკვეთებს არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ გამდიდრებისათვის იყენებს. რატომ არ დაფიქრდებით ასეთ ამბავზე: საკარმიდა-

შო ნაკვეთის მფლობელ პირებს როგორ შეუძლიათ წლიდან წლამდე ყოველდღიურად 100 და 200 გრამდღერიანი მიხაკისა და ვარდის მოყვანა? საკარმიდამო ნაკვეთი მხოლოდ შირმაა დანაშაულის დასაფარავად, სინამდვილეში ყვავილები შემოაქვთ სოჭიდან, ერევნიდან, ან ადგილობრივ სახელმწიფო მეურნეობებიდან და ყოველივე ამას ყურადღებას არავენ აქცევს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სბეკულაციას ბევრი ხელისშეწყობა პირიგვანა ახლავს თან. პირველ რიგში, ამის მიზეზია სახელმწიფო და კოპერაციული ვაჭრობის მოქმედი მუშაობა. ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებით ბკოდავს კოპერაციული ვაჭრობა, რომელსაც სახელმწიფო გეგმის შესრულების დროს სრულ წესრიგში აქვს სამრეწველო საქონლის რეალიზაცია, მაგრამ ვერ უძღვება მოსახლეობის უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. დანაშაული არ არის, რომ „ცეკვირის“ სახელმწიფო მენაიგებელი პროდუქტების შექმნას დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა და ეს არის ჩვენს ბაზრებზე ქორვაჭრების გამრავლების ერთ-ერთი მიზეზი. ყველა თბილისელს კარგად ახსოვს, თუ რა დიდი წარმატება მქონდა ერთ პერიოდში „ცეკვირის“ თაოსნობას, როდესაც თბილისის რესტორნებს პერიოდულად ცაქციული რაიკავშირები ემსახურებოდნენ. მაშინ, როგორც იტყვიან, ჩიტის რმეც კი იზოვებოდა. რაიონი რაიონს ეკიბრებოდა და ამ შეჭორის შედეგად მომხმარებელიც ვაჭარბული იყო და სავაჭრო ორგანიზაციაც, ნუთუ არ შეიძლება შემოვიღოთ ვაჭრობის ისეთი წესი, რომ თბილისის ერთ ბაზარში ერთ თვე რესპუბლიკის ერთი რაიონი ვაჭრობდეს. ამაში ჩავგორც რაიკავშირი, ასევე კლემურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ბაზარი ერთ დღეს დაკავებული იქნება ერთ კლემურნეობას და ვერც ერთი ქორვაჭარი ვერ გაიჭაუნებს, რადგან პროდუქტიც საკმაოდ იქნება, საქმესაც მეტი თვლი მიხედავს და პატრონიც მერტი ეყოლება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში ბევრი ნაკლია. სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, ამაში უდაოდ ბრალი მიუძღვით საბაზრო აღმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებსაც, რომლებიც მაქსიმალურ ზომებს უნდა იღებდნენ ამ დანაშაულის აღმოსაფხვრელად, ჩვენს ბაზრებში პარაზიტული ელემენტების მოსახლეობად.

მასტანბ შვანია  
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი  
შალვა ბაბინაშვილი  
კიროვის რაიონის სახ. სახანართლოს თავმჯდომარე  
ოთარ ისაბაძე  
პირველი მანისის რაიონის სახალხო სახანართლოს თავმჯდომარე



# მოქალაქე



კრეში, სკების მახლობლად და ურადლებით უსმენდა და იწერდა ფუტკრების ხმანობას. თავისი ახალი სიმფონიის ფრაგმენტების შესრულება კომპოზიტორმა საფუტკრეშივე მოაწყო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი

რატურათმცოდნეები, გამომცემლები, წიგნის გამყიდველები, მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, მოქანდაკეები, ამქიჩავეები, ტურისტული კანტორების აგენტები, სუვენირების გამყიდველები...

## საკუთარ მოედანზე

საფრანგეთის ქალაქ ვალინიო-სიურ-ლოში (ლო გარონას დეპარტამენტი) ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი, რომელშიც მასწავლებლების, მენეჯერების, პარიკმახერებისა და სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურეების გუნდებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა დეპარტამენტის ცენტრალური ციხის პატიმართა ორი ნაკრები ფეხბურთის გუნდი (ახალგაზრდული და უფროსთა გუნდები).

ტურნირში თავიდანვე დაწინაურდა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გუნდი.

მატჩები ციხის ეზოში ტარდებოდა. მსაჯები ვარაუდობენ, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეთა გუნდი თავის წარმატებას უნდა უმაღლოდეს პატიმარ-გულშემატკივართა უადრესად ტემპერამენტთან და ერთსულოვან მხარდაჭერას.

## რა ღირს ლამაზი ცხვირი?

უკანასკნელ დრომდე, როგორც პამბურგის გაზეთი „ველტი“ იუწყება, დასავლეთში მიაჩნდათ, რომ ყველაზე ლამაზი ცხვირი აქვს ფაკლინ ონასის-კენედის. ამჟამად მოლაში ინგლისელი პირინცესას ანას ცხვირი: იმისათვის, რომ მოდის მიმდევრებმა თავიანთ ცხვირებს მისცენ ფორმა „ა ლია ანა“, მათ პლასტიკური ოპერაციების გაკეთებაში ათასიდან ხუთი ათასამდე დოლარი უნდა გადაიხადონ.

## კოსმონავტი — მღვდელი?

ამერიკელმა კოსმონავტმა ჯიმს ირვინმა ამას წინათ კატეგორიული უარი განაცხადა კოსმოსში შემდგომ გაფრენაზე. მან გადაწყვიტა მთელი თავისი ძალ-ღონე სულ სხვა საქმიანობას მიუძღვნას.

კორესპონდენტებთან საუბარში ჯიმს ირვინმა თქვა, რომ ამერიკიდან მთელი ჩემი თავისუფალი დრო ქრისტეს იდეების ქადაგებას უნდა შეეწიროს.

„კოსმოსურმა გაფრენებმა მე ღრმად მორწმუნე ადამიანად მაქცია“ — დასძინა ირვინმა.

როგორც ვხედავთ, თავბრულამხვევ კოსმოსურ სიმაღლეზე ფრენის დროს, ადამიანებს სულ სხვადასხვაგვარი და ერთიმეორის საპირისპირო გრძნობები ეუფლებათ.



რამ: გალიზიანებული ფუტკრები სკებიდან გამოფრინდნენ და დაესივნენ კომპოზიტორს. მას სამასამდე ფუტკარმა უქპინა.

ტყუილად როდი ამბობენ, ხელოვნება მსხვერპლის მოითხოვსო. მოლე ხელოვნებისათვის ეწამა.

## რამდენ კაცს აძლევს სამუშაოს შექსპირი

შექსპირის თაყვანისმცემელთა ბრიტანულმა საზოგადოებამ ამ ცოტახნის წინათ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები, საიდანაც ვიგებთ, რომ დიდი ინგლისელი მწერალი ამჟამად მთელ მსოფლიოში სამუშაოთი და მუდმივი შემოსავლით უზრუნველყოფს დაახლოებით 800 ათას კაცს. ამ ადამიანთა შორის არიან — მწერლები, მთარგმნელები, ლიტ-

## დიდად საიდუმლო რუკები

ინგლისის თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამმართველომ ბოლო ხანებში შეამჩნია, რომ საიდუმლო ინფორმაცია, დოკუმენტები და რუკები სისტემატურად იკარგებოდა. ყველა საიდუმლო ცნობილი ხდებოდა ფართო საზოგადოებისათვის.

ატყდა ერთი აურზაური. ბოლოს უშიშროების სამმართველოში მივიდა ერთი კაცი, რომელსაც ლონდონის საავეჯო ფირმაში ახალი სკამები შეეძინა. ეს სკამები თურმე გახვეული იყო რაღაც უცნაურ ქაღალდებში, რომლებიც გასინჯვის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო რუკები აღმოჩნდა.

ძიების კვლამ პოლიცია სტამბამდე მიიყვანა, საიდანაც მაკულატურა გაქოლდათ ბაზარზე.



## ხელოვნებისათვის წამებული

ბელგიელმა კომპოზიტორმა მოლემ გადაწყვიტა დაეწერა ახალი სიმფონია — „უზუნებენ ფუტკრები“. ამ მიზნით ის რამდენიმე კვირის განმავლობაში გაუდუმებდა იქადა საფუტ-

გარეკანის პირველ გვერდზე: ომარ კელაპტრიშვილი; მეოთხე გვერდზე: თბილისი. მეტროს სადგური „ისანი“. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურშიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კვ-ის გამომცემლობა

ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ახაწყობად 9/VII-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-72 წ. ქაღ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2416. უე 01982.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ბერიკალები ლიახვის პირას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა



ИНДЕКС 76056